

1911 № 5

ՀԱՅՈՒԹ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



մայս, 1911 թ.

უკრალ • გევალისა

I	ქალთა სამკერვალოს მოსწავლე და მასწავლებელნი — სურათი	258
II	ბიჭი, ნუ იჭერ პეპელის! ლექსი შით მდგინელისა	259
III	ყვავი და ხამანწერა თარგმანი ტასტის	260
IV	ტყვე და მისი მეცნიერი	261
V	ვინ იყო ქურდის თამარა თარისნიშვილისა	262
VI	დევ-გმირები (ფუნქციისა)	271
VII	მელა გუბილის საზარელი თავგადასავალი (გაგრძე- ლება) თარგმანი ელ. დემოლონ-წერეთლისა	277
VIII	ბუტი სონა ლექსი ალ. ფსალაძესი	285
IX	გამოცანები, ასწავა.	287
X	მწერალი ქალის ეკ. გაბაშვილის ორმოცი წლის იუბილეი.	287
<hr/>		
XI	ალექსანდრე მაკელონელი ფრიდრიხ რიუკერტისა ილია ფერძესი	290
XII	ბიძის ნაამბობი ბავშვების ცხოვრებიდან (გაგრძე- ლება) ალ. ნიათექის	294
XIII	თამარ მეფე ლექსი დადო გებებებითისა	301
XIV	შირვან-ზალე (იუბილეის გამო).	302
XV	ჯეი. ცეცხლის მერიობელი რაზმის ძალი (შემდეგი) თარგმანი ეკ. მესხის	303
XVI	როგორ ამზადებენ მინას არშ.	314
XVII	ედუარდ ჯენერი გ—ისა	317

მიიღება სელის მოწერა 1911 წ.

ამ 1911 წ. სელის მომწერლებს დაურიგდებათ სა-  
ჩუქრათ ორი წიგნი.

1) ლეიტონის წყვილი დასურათებული მოთხრობა გიორგი  
წერეთლისა.

2) საყმაწვილო ამბების კრებული სურათებით.

„კეჯილის“ რედ—ში იუიდება მემცევი ახალი გამოცემა:  
„ცხოვრების გამჭრიახობა“ . . . . . 25 კ.  
„ბატონ-ყმობის გაუქმება“ . . . . . 12 კ.  
„საქართულოს ისტორია“, ორი ქართით ს. გორგაძის . 20 კ.



# საუმაწვილო, ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, განდი ყანაო!..  
ი. ღ.

მაისი, 1911

→ წელიწადი მეოცდაზე

თბილისი  
ელექტრომებეჭდავი ამს. „შრომა“, ბუბრანის ქ. № 12.  
1911



ქალთა სამკერვალოს მოსწავლეები და მასწავლებელნი. (დაარსებული ექსტერინე გაბაშვილის მიერ)

# ბიჭო, ნუ იჭერ ჰეპელას!

საქართველო  
მთავრობის  
მუნიციპალიტეტი

(გოგია გუბელაძეს)



იჭო, ნუ იჭერ ჰეპელას,  
ფრთა მალაღლია, ბრხლია;  
კოჭწია უკავილებისა  
და მინდვრის ტურფა ქალია.  
სუეველას დიდს და ჰატარიას  
უმზერის თანაგრძნობითა,  
დაქსენ, თორემ უმელანი  
მოგიგონებენ გმობითა.

ობლად რო სედავ უკავილსა  
კ მინდვრის განაპირასა,  
მუდამ საღამოს ჰეპელა  
ამინებს იმის მირასა.

დილა ადრიან ადგება  
მიესალმება ტებილადა  
და მერმე ფოთლებს უკოცნის  
მოწიწებით და ფრთხილებთა.

სხვა უკავილებისაც ნასულობს,  
უკლის მთელს არე-მარესა,  
არ უკარება უკალსა  
შხამიანსა და მწარესა.

საღამოს ობოლ უკავილთან  
მოდის კვლავ დასაწოლათა,  
შენ რომ მოუკლა, ბიჭო, მას  
კიდა მოუჭა ტოლათა?!

შ. მლეველი.

# ეგავი და ხამანწერა.



ეგავი საზოგადოთ ჰყავიან ფრინვლად  
ითვლება. ზოგჯერ დიდ გამჭრიახო-  
ბასაც იჩენს.

ეს ფრინველი ეველაფერსა სჭამს,  
ლეშსაც კი არ იწუნებს; ქუჩაში რა-  
საც კი დაინახავს — რაც უნდა უწმინდური იუოს, ეპი-  
ლაფერი მუცლისკენ მიაქს. ხან და ხან წვრილ  
ფრინვლებსაც არ იწუნებს — წიწილებს, ბატის და იხ-  
ვის ჭუჭულებს. ზღვის პირას მცხოვრები ეგავი იკვე-  
ბება წვრილი თევზებით და კიბოებით. ზღვა, რასაც  
კი ნაპირზე გადმოჭრის — მათი წილია.

მეტათ უევართ ეგავებს ხამანწერა. ლოკოკინები,  
რომლებმიაც იმალებიან ხამანწ-  
ები, მაგრათ არის დახურული  
და მის ამოსალებათ ეგავები დიდ  
სერხს ხმარობენ. ნისკარტში  
იღებენ ლოკოკინას და ძლიერ  
მაღლა აფრინდებიან. რადგან თვითონ არ შეუძლიანთ  
ლოკოკინის გატეხა, ამიტომ ზემოდან მიწაზე აგდე-  
ბენ და ცდილობენ ზედ ქვებზე დაეცეს. ლოკოკინა  
ქვებზე ტედება და ეგავი სწრაფათ გადაელაპავს ხოლ-  
მე ხამანწერას.




## ცყველა და მისი მეგობარი.



ოთი კაცი ტევეთ წაიკვანეს. ძალლი პატრონს გაჲევა, მაგრამ დარაჯებმა გაავდეს. მეორე ღლებ მაღლი ციხეს მიადგა და იმ ფანჯარასთან გაჩერდა, სადაც პატრონი ეგულებოდა. მაღლის უფაზე ტევე სანათურს მიუახლოვდა და მალიან გაიხარა, ოთხესაც ერთგული მაღლი დაინახა; ტევემ თავისი მცირე საუჩემე მაღლს უწილადა. ერთგული მაღლი წვიმაში და თოვლში უველ დღე ტუსალის სანათურთან გამოცხადებოდა, სანამ პატრონი არ გაანთავისუფლეს.

მათ სიხარულს უოველთვის სამზღვარი არა ჰქონდა სოლმე.



# ვინ იყო ქურდი!



— მართა, მართა! მოდი,  
ნახე, თედომ რა კარგი ჯა-  
ფარი მომიუებანა ტეიდან!  
ნახე, რა ჭრელია და ლა-  
მაზი, — სიხარ ელით უძახო-  
და ექვსი წლის ქეთო თა-  
ვიანთ გოგო მართას.

— აბა, კნიაჟნა, მაჩვენეთ,  
ცოცხალი ჯაფარია?

— ხა, ხა, ხა, რა სასაცი-  
ლო ხარ, მართა! ცოცხა-

ლია, გაკეთებული ხომ არ იქნება! — და ქეთომ გადა-  
ფარებულ კალათას თავი ახადა, საიდანაც ურთებ შე-  
ქვეცილი ჯაფარია ამოსტა და ბავშვებს ოთახი მრავალ-  
ჯერ შემოარბენინა, სანამ დაიჭირდენ.

— რა მარდი ეოფილა, —  
სოქვა მართამ, — მაგას რომ  
ფრთები შეკვეცილი არა ჰქო-  
ნოდა, ვეღარცეკი დავიჭირდით,  
ფან ჯარაში გაგვიფრინდებოდა.

— შენ კი გეგონა, ცოცხალი  
არ არისო! — სიცილით უთხრა ქეთომ.

ქეთოს ჯაფარის მშვენიერი გალია გაუქეთეს და  
სასადილო ოთახში ჩამოჰკიდეს. ჯაფარა მალე მოე-  
ლი ოჯახის ნებიერი შეიქნა.



დიდი და ჰატხოა იმას ანებივრებდა. შაქარს აფე-  
მევდენ და იმდენს ჩასჩიჩინებდენ, რომ მალე ენა ამო-  
ადგმევინეს. «შაქარი უნდა ჯაფარას, შაქარი!» — გაიძა-  
ხოდა იგი და თან სიცილით ხან ერთს შეაფრინდე-  
ბოდა მხარზედ და ხან მეორეს.

ერთხელ ქეთოაანთ მდიდარი დეიდა ეწვიათ და სა-  
სადილო ოთახში დაამინეს. მეორე დღეს დეიდა აი-  
განზე რომ გავიდა ჩაის დასალევათ, ოთახის დასა-  
ლაგებლათ მართა შევიდა.

— ეგ ჯაფარია რა მოუსვენარი უოფილა! — სთქვა  
დეიდამ, — ჯერ არ ენათხა, რომ დაიწუო: „შაქარი უნ-  
და ჯაფარას“ და თან ისეთი გადისარხარა, რომ მე,  
გულით მძინარება, გამომეღვიძა და უცებ ვერ გავიგმ,  
სად ვიუბგი და თავს ვინ დაძხარხარებდა.

— უი, დამიდგეს თვალი, — სთქვა ქეთოს დედამ კა-  
ტომ, — ეგ როგორ არ მოვიფიქრე, რომ ეს შეჩვენე-  
ბული გარეთ გამომეუვაჩა!

— მერე ხომ გაცივდებოდა, — ტუჩებ წაშვებით  
სთქვა ქეთომ.

— ზაფსულში რა გააციებდა, ჩემო გვრიტო, —  
უთხრა მამამ, — ის რომ გეთქვა — კატა ან სხვა ვინმე  
შესჭამდაო, ეგ იდევ მართალი იქნებოდა!

— ჭო და — არ გებრალებათ, რომ მოსვლოდა რა-  
მე? — ტირილითა სთქვა ქეთომ და გრძნობით გულში  
ჩაიკრა ჯაფარა, რომელიც მაგიდაზე უდარდელათ და-  
ხტოდა.

ჩაი რომ გაათავეს, ქეთო თხვის ჯაფარით ეზო-  
ში გავიდა სათამაშოთ, ქეთოს მამა სოფელში გავიდა,

დედა კიდევ თავის ოთახში შევიდა მოსართავათ. ჩა-  
ცმა რომ გაათავა, ზურმუხტის გულის ქინძისთავის  
გავეთვბა დააპირა, მაგრამ იქ აღარ დახვდა, საცა და-  
სდო. მართა გოგოს დაუძახა:

— გოგო, იქ რომ გულის ქინძისთავი იყო, რა  
უკავი?

— რა ქინძისთავი, ქალბატონო, არაფერი არ  
მინახავს! — უთხრა გოგომ.

— როგორ თუ არ გინახავს! აი, ამ მაგიდაზე არ  
იდეა გულისპირთან ერთად? — წურომით უთხრა დედამ.

— დედა არ მომიკვდება არ მინახავს! — თითქმის  
ტირილით ეფიცებოდა მართა.

— აბა, მაშ ქალბატონს ჰყითხე, იმან ხომ არ  
შეინახა.

გოგო კარებძი შეეფეთა თავის ქალბატონს და და-  
ბნევით უთხრა:

— ქალბატონო, გულის ქინძისთავი მიბომეთ.

— რას მიჰქარავ, რა გულის ქინძისთავი უნდა  
გიბომო? — გაკვირვებით შეეკითხა ქალბატონი.

— კატო, შენ ხომ არ შეინახე გულის ქინძისთა-  
ვი? — ჰყითხა დეიდამ ამ სიტუაციის გაგონებაზე.

— მე არ შემინახავს, განა მანდ არ არის?

— არა.

— მაშ, ამ გოგოს ეცოდინება, ეს აღაგებდა ოთახს,  
— სთქვა კატომ და მიაჩერდა მართას.

მართა დაიბნა და ტირილით მიუგო:

— დედა არ მომიკვდება, არ ვიცი, არ მინახავს!

— მაშ ვინ ეშმაკებმა უნდა იცოდეს, თუ არ შენ!

შენს მეტი ხომ არავინ შემოსულა ამ ოთახში? თვალი  
ლი მოითხარე და ეხლავე მონახე, თორებ არ ვაცი  
რას გიზაბ.

ერთი ალიაქოთი ასტედა: დიდი, ჰატარა, ბიჭი, გო-  
გო, დედაკაცი — სულ ერთმანერთს ეცენ და სულ იმას  
გაიძახოდენ: „ჩვენი შერწყვენაა, უნდა ვიზოვოთო.“

ჰურის მცხობელმა ნენიამ ქალბატონს წასხურჩულა:

— ქალბატონო, მაგ გოგოს მეტი ვინ აიღებდა.  
სახელ გაწევეტილი დილა ადრიან თავიანთსა მირ-  
ბოდა. აბა რა უნდოდა, თუ არა წაილო-რა?

— მართა, დილას შინ რათ წასველი? — ჰერთხა  
ქალბატონმა.

— მე... მე როდის წავიღე...

— რათ წაეთრიე მეთქი შინ, მიჰასუხე!?

— დედას წეალი მივუტანე, — სთქვა მართამ.

— ქა! რას ალაპარაკებთ, ქალბატონო, ჩქარა მი-  
ასწარით. თორებ მიაფანიერებენ! — სთქვა ნენიამ.

— შენ, გომბიოვ, წაეთრიე შინ და აი ამ ბიჭებს  
გამოატანე ქინძისთვი, თორებ იცოდე სულით ხორ-  
ცამდის დაგლუბავთ! — განრისხებით უთხრა ქალბატონ-  
მა და თან ბიჭებს თედოს და ვანოს მიუბრუნდა: — თუ  
არ გამოაჩინოს, იქაურობა გადააბრუნეთ და მოიტანეთ  
ქი უთულდ.

მართა რომ ტირილით გაჭევა ბიჭებს, ქეოო და-  
ედევნა და ნუგეში სცა: ჩემო მართა, ნუ სტირი! რა-  
თა სტირი; ქინძისთვი მოიტანე და ჩქარა მოდი. შენ  
დედას ხომ თავი ეხურა, როცა ავათ არ იუო, იმას  
გამოართვი და მოიტანე, ალარ გაგიჯავრდებიან. უთუ-  
ოდ ჩქარა მოიტანე, ჯაფარას ვეთამამოთ.



## II.

მართას დედას ორ თვეზე მეტია მუხლები შეეხუ-  
თა და ლოგინათ ჩავარდა.

მტირალი მართა რომ დაინახა ორ ბიჭ ადევნებუ-  
ლი, გული გაუსქდა, დაავიწედა რომ ადგილიდან და-  
ძვრა არ შეეძლო, წამოიწია და პირქვე დაუცა.

— დანაკარგის მოსაკითხათ რომ მოვედით გული  
გაგისყდა განა! — სთქვა თედომ.

— როგორ თუ დანაკარგი, რას ამბობ! — ჰერითხა  
ცოტათ გონზე მოსულმა დედამ.

— გიომ და არ იცი, რასაც კამბობ?

— წევული ვიუო, თუ გამეგებოდეს რამე! — სთქვი,  
გოგო, რა გატირებს, რა იუო? — ჰემითხა მართას.

— სტუძარმა გულის ქინძისთავი და ჰეკარგა და მე  
მაბრალებენ, — ტირილით თქვა მართამ.

— არა, მე დამაბრალებენ! შენ იუავ იმ ათახში  
და შენ კვე გამოიქეცი დილა ადრიან შინისკენ, — უთხრა  
თედომ.

— უი მე, ნუ იცოლებებს მართა, თუ ეგ ავხელი  
მეუოლება; ორი წელიწადია ბატონიანთ კარზეა და  
განა კვლავ შეუმჩნევიათ რამე?.. ეგ საცოდავი მოვი-  
და, იცოდა რომ უფროსი გოგო ჩოჩეთში წავიდა წიმ-  
ლის ამოსატანათ და ცივი წეალი მომიტანა, რომლი-  
თაც გულს ვიბრუნებ ხოლმე.

— ჩვენ არა ვიცით რა — გულცივათა თქვა თედომ.

— გოგო, ქალბატონმა როგორც ბრძანა, მოგვიტანე  
ახლავე ქინძისთავი!

მეორე ბიჭი ვანო კი ამ დროს დარცხვენილივით  
თავჩაღუნული იდგა და არას აშბობდა.

— შენ რაღა თბვი ჩაგიღუნია? — უთხრა თედომ; —  
ქალბატონმა რა გიბრძანა?

— მე ვერავის ცოდვას ვსრ დავიდებ, რა უნდა  
მოვძებნო, რაც არ შემინახავს?

— ეგრე ვეტევი ქალბატონს! — დამუქრებით უთხრა  
თედომ. — მაპ მართა, ნებით არ გვაძლევ ქინძისთავს? ..  
უნდა მოვნახოთ, ვანო!

ვანოს დაბეზღებისა ემინოდა და ამანაც ფათური  
დაიწეო, ვითომ ეძებდა. თედომ კი იქაურობა გადაა-  
ბრუნა, მდებარეს ლოგინიც კი მირის. მირობამდის გა-  
სინჯა.

— გოგო, თქვი სად შეინახე! ან შენ, ბებერო,  
სულს ნუ სწერენდავ, სთქვი სად არის? — შეუტია თედომ.

მდებარე კი სირცხვილით იწოდა, მდებარება გად-  
მოსდიოდა.

— შვილო, ხომ არავინ გაგაბრიუვა? — ძესტირა  
დედამ მართას, — ხომ არავის მიეცი?

— არა, დედავ, არა მინახავს — რა, დედა არ მო-  
მიკვდება. წმინდა გიორგის მადლმა! — ტირილითვე  
ეფიცებოდა შვილი.

— ამათ ცოდვით ქვაც კი დაიწვის! — წაილუღლუ-  
ღა ვანომ და თან შიძით თედოს შეხედა.

— შენ ისე აფარებ ხელს, რომ იქნება შენ გად-  
მოგცა ის ქინძისთავი, — უთხრა თედომ.

— შენ, ჩემო მმაო, პრიჭავზე უარესი ხარ, —  
უთხრა ვანომ, — ვერა ხედავ, როგორ იხოცავენ თავებს?!



ორიგემ აკადმეოფს შეხედეს. მართას დედას ნაც-  
რის ფერი დასევბოდა და ხელების კანკალით შებლზე  
და საფეხჭლებზე ცივ წეალს ისვაძდა, რომ გრძნობა  
არ დაეკარგნა.

თედო მარტო ეხლა შეფიქრიანდა. სიბრალულის  
მაგივრათ შიშმა შეიცერო.

— კაცო, ამ დედაკაცს აქ არა დაემართოს — რა და  
ჩვენ არ დაგვიძრალდეს, წავიდეთ ჩქარა!

### III

ჰატარა ქეთოს მართა მალიან უევარდა და ბიჭე-  
ბი რომ მოვიდენ და მართა აღარ მოიუვანეს ტირი-  
ლი მორთო; დედას ჩააცივდა:

— დედა, მართა რატომ აღარ მოიუვანეს? დედა,  
გენაცვალე, შენ უეიდე დეიდას ქინმისთავი და მართა  
მოვიდეს, თორემ სულ ვიტირებ, ვიტირებ... შენი შვი-  
ლი აღარ ვიქნები: დედა, ჟა დედა, უეიდი?..

— უეიდო რა, გროში ღირს! ქინმისთავი მალიან  
მკირფასი იეო, — უთხრა დედამ.

— კაცო, ის ქინმისთავი შენი ქეთოსთვის მინ-  
დოდა შემენახა და რომ გაიზოდებოდა მეჩუქებინა, —  
თქვა დეიდამ.

— დედა, დედა! აი, ხომ ჩემი ეოფილა ის ქინ-  
მისთავი... მე კიდევ მართას ვაჩუქებ! მოვიდეს მართა,  
გენაცვალე, დედა! — ქეთო ეხვეოდა დედას და თან  
ჟეოწენიდა.

— კარგი, თავი ნუ მომაბეზრე, წავიდეთ სასადი-  
ლოთ, სტუმრები გველიან, — უთხრა დედამ და მალით  
წაიუვანა ქეთო.

სადილზე მაღამალე გულის ქინძისთავზე ჩამოა-  
აგდებდენ ხოლმე ლაპარაკს. ქეთოს მამამ სთქვა:

— თუ არ გამოაჩენენ, ბოქაულს შევატეობინებ,  
რომ...

სიტყვა არ დაემთავრებინა მამას, რომ ჯაფარა  
თავისებურათ ქეთოს მხარზე შეაფრინდა, გადისარხა-  
რა „ხა, ხა, ხა“-ო და სუფრაზედ კი გულის ქინძის-  
თავი წამოაგდო.

ეგელანი შექრთენ.

ქეთომ-კი მარდათ დაბალო გულის ქინძისთავს  
ხელი, წამოხტა და სახარულით უვირილი მორთო:

— ჩემი ქინძისთავი ჯაფარამ იპოვა! ჯაფარამ...  
მართას გაჩუქებ, აღარ იტირებს... მოვა— ვითამაშებთ,  
არა ჯაფარა, ვითამაშებთ?— და ჯაფარა და ქეთო ხტუ-  
ნაობით გარს უვლიდენ მაგიდას.

— რა მოგვივიდა, როგორ არ მოგვაგონდა, რომ,  
ამ შეჩვენებულმა ნივთების დამალვა იცის,— მწუხარე-  
ბით თქვა კატომ,— აბა ის საწეალი მართა რაზე დაჭ-  
წვით უბრალოთ.

მთელმა მოსამსახურეებმა ისევ თავი მოიერეს.  
კანომ უთხრა თედოს:

— აკი გითხარი, ქვა დაიწვის იმათი ცოდვით—  
მეთქი. განა არ ეტეობოდათ, რომ მართლები იუვენ!

ნენია შერცხვენილი სათონეში გაიპარა.

— დედიჯან, დედა! წავიდეთ, მართა მოვიუვანოთ!  
— ეხვეწებოდა ქეთო.

— შენ კი არა, შვილო, მეც უნდა წამოვიდე,—




უთხოა დეიდამ,—ჩემი ქინძისთვის გულისთვის უფრო  
დაიტან ჯა.

ქეთოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა  
დედასა და დეიდის ხელჩაკიდებული მართასთან მიემ-  
გზავრებოდა.

ქეთოს დეიდამ ნახა მართას დედა, იმან კიდევ უძ-  
ბო თავისი შერცხვენა; დეიდა მალიან ძეწუხედა, ბო-  
დიში მოიხადა, ცოტა ფულიც აჩუქა საწამლებლათ და  
მართას კიდევ კაბა დაჭვირდა. დედას აღარ უნდოდა  
მართა გაეძვა ბატონიანთას, მაგრამ ამათ უარი ჯედარ  
უთხრა და მართა ისევ ქეთომ წაიყვანა.

### ၃. တမ်းပိုကိုရွှေ့လှစာ.



# ღ ე პ - გ მ ი რ ე ბ ი .



(გ. ღ უნ კ ვ ე ბ ი ს ა)



რ გმგონოთ, ჩემო შატარა მკითხველებო, რომ მე მოგიუვეთ ღეგ-გმირების ამბავს. მათზე თქვენ ბეჭრი მოგისმენიათ მოხუცებულ ბებია-გა-დიებისაგან, უსათუოდ ზღაპრის წიგუნებსაც წაიკითხევდით; ეს სომ მაშინ ზღაპარი იქნებოდა, რადგან ღევ-გმირი კაცები მხოლოდ ზღაპრებში არ-სებობენ. მე-კი მინდა გესაუბროთ ღეგ-გმირ მცენარეულზე, — ნამდვილ, ღიღ, უზარმაზარ მცენარეებზე.

ასეთ მცენარეებს ძველ ჯროში ძლიერ ხშირად ნახავდენ, ახლა-კი კაცი იძვიათად შეხვდება. გასაკვირველია, რომ ბუნებას გაუჩენია ასეთი ღიღი მცენარეები; ამ გვარი მცენარეები უფრო ცხელ ქვეუნებში მოიპოვებიან, მაგრამ ჩვენშიაც — კაცკასიაში — არის ერთი ამ გვარი ხე; იქნებ გისმეს გაგონილიცა გაქუთ. — ქალაქ განჯაში. აი, ამ ქალაქში არის ერთი ვებერთელი ჟადარი; წარმოიდგინეთ ამ ხის სიღიღე: მისს ფულუროში ერთი ხარაზი დაბინავებულა, იქ მას სახელოსნო გაუმართავს და მადლობას სწირავს ბუნებას, რომ მან მუქთი ბინა გაუჩინა. \*)

\*) სოფ. ძველ-სენაკში (სამეგრელოში) არის ამ გვარივე უზარმაზარი ქადარი, რომელის ფულუროში თავისუფლად მოთავსდება ბლობა ხალხი.



ამერიკაში ერთი საკვირველი მცენარე იზრდება. მას შეხვდებით კიდევ ეკონომის ძლიერ ცხელ ქვეუნება. ჩვენში-კი ამ მცენარეებს მხოლოდ შეძის ოთახებში (ორანჟერეია) ინახავენ. ამ მცენარეს უძახიან მექსიკის აგავა. ს.

შესანიშნავი ამ მცენარეში სიმაღლე-კი არ არის, არამედ დიდი, ვეგბერთელა, სქელი ფოთლები, რომლებიც პირდაპირ, ჯგუფ-ჯგუფად ამოდიან მიწიდან. ამ ფოთლებს ძირიდანვე ისეთი დიდი ადგილი უჭირავთ, რომ თითო მათგანს სამი ვაჟკაცი ერთად გაძლიერ ხელებს ძლივს შემოახვევს.

ეს მცენარე უფრო იმით არის შესანიშნავი, რომ ჰეგეზის უოველ მერვე წელიწადს, მხოლოდ მაშინ გამოიდებს თავის ფოთლებს შეა-ერთ გრძელ, ძლიერ გრძელ, უვავილის ღეროს, რომლის სიმაღლე ოთხ-ხუთ საჟენამდის ადის. ეს ღერო ძირში ადლ-ნახევარი სისქისაა; ამ ღეროზე სიგრძით ამოდის მრავალი ვერთელი უვავალები. შორიდან რომ აუვავებულ აგავას შეხედავთ, გეგონებათ თუ ეს ვეგბერთელა ხომლია მრავალ სანთლებით გაჩაღებული.

მაგრამ რა არის აგავა თავის უზარმაზარი ფოთლებით სხვა დევ-გმირ მცენარეებთან შედარებით? მავაგალითად ჰალმებთან, რომელთაც სამართლიანად უწოდებენ მცენარეთა შორის თავადებს. ისინი ამ-შვენებენ თავიანთ მშვენიერ ტანადობით, ჯავარიანობით არე-მარეს. აბა, გადახედეთ კოკოსის ბალმას, სწორედ იმას, რომელიც იძლევა ვეგბერთელა კოკოსის

კაკალს, დატებით  
ვით, რომელსაც



მშვენიერი ფინიკის პალმის შეხედ-  
ვით, «უდაბნოს მარჩენელს» ეძახიან. რა  
მშვენიერებას წარმოადგენენ ფინიკის  
პალმები! ტოტები არა აქვთ. სწორი  
ღერო ფინიკის პალმისა ათ საჟენამ-  
დის ადის მაღლა, თითქოს მისი ტანი  
ცას ებჯინებაო. თავი შემკული აქვს  
მშვენიერი ფოთლებით, გეგონებათ  
ქუდი ხურავსო. თითოეული მისი  
ფოთოლი სიგრძით ორ-სამ საჟენს  
უდრის და ძლიერ მიეგვანება რომე-  
ლიმე ზღაპრულ ფრინველის მშვენი-  
ერ მშვანე ფრთას.

მაგრამ არც სიდიდით და არც სი-  
კოქსის პალმა. ლამაზით, არც ერთი ხე არ შეედრება  
გელინ გრონიას. მცენარეთა სამეფოში ამას ცალი  
არა ჰქავს.



შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ისეთი ხე, რომლის



სიმაღლე ადემატებოდეს უმაღლეს ქვეყნის სამრეკლოს? ზოგიერთი მათგანი სიმაღლით ადის სამოცოხმოფ საქენაძე, სიმსხოთიკი უდოის ხუთმეტოც საჟენს. ასე რომ თუ მოინდომებენ გარს შემორტებას, მოუნდება ოცდა ხუთ კაცზე არა ნაკლები.

თურმე ერთი ასეთი ხე გადასჭრეს და მასზე გამართეს ცეკვა-თამაძი: ერთ მსარეს დააკასეს მუსიკის დამკვრელნი, შუაში ხუთმეტი წევილი მოცეკვავე თამაშობდა, ირგვლივ ამ ხის გადანაჭრზე კიდევ შაურებლები იდგენ და გაჭვირვებით შესცეკეროდენ ამ ღროს გატარებას.

მეორე შემთხვევა კიდევ უფრო შესანიშნავი იყო. ერთ უზარმაზარ გელინ გრილია ს ირგვლივ ქერქი შემოაძვრეს, გაასწორეს, გადააბეს და ამ ერთი ნაჭერი ხის ქერქისაგან გამართეს დიდი დარბაზი. შეგ დასდგეს როიალი; მაურებლებისთვის ორმოც-და. ათი სკამი ჩამწერივეს, შუა ადგილას მოცეკვავები შეუძვეს და ასე ხის ქერქის დარბაზში გამართეს მეჯლისი. ნუ თუ ეს არ არის საჭვირველება ბუნებისა!

ამ გვარ დევ-გმირ მცენარეთა ძორის არის კიდევ ერთი შესანიშნავი ხე ბაობა ბი. ეს ხე ისეთი მსხვილია, რომ თორმეტ-ხუთმეტი კაცი ხელებს ძლივს შემოახვევს. მთელი ხე დაფარულია დიდრონი. ტოტებით და დიდრონი ფოთლებით, ასე რომ ხე წარმოადგენს ერთ მშვენიერ კარავს, რომლის ქვეშ თავისუფლათ მოთავსდება ველურების მთელი კარავანი თავისი ავალბადიდებით და საქონლით. კაცი ადგილად იტევის, თორმეტ ამ კარვის ერთი მხრიდან მეორემდის, თუ მე-

ტი არა, თითქმის ხუთმეტ-ოც საჟენამდის იქნება! ამ კიშის ძლიერ ძველ, ღაბერებულ ხეებში ხშირად იხეთ ფუღუროებს შეხვდებით, სადაც დიდ წევიძისა და



ბ ა თ ბ ა ბ ი .

სეტევის დოს ას კაცზე მეტს შეუძლიანთ თავი შეა-  
ფარონ. ველური ხალხი ამ გვარ ფუღუროებში მთელი  
ოჯახობით ცხოვოობს, კარგ ამინდმი-კი გამოძვრე-  
ბიან ამ ფუღუროებიდან და ბაობაბას მსხვილ და  
ვეებერთელა ტოტებზე მხიარულ მაიმუნებთან ერთად  
ატარებენ დოს.

დევ-გმირ მცენარეთა შორის არის კიდევ ერთი  
შესანიშნავი ხე, ეს არის ინდოეთის ლელვი. რომ შე-  
სედოთ, იტევით მთელი ტექ არისო. მმლავრი, და-  
დი ტანი ამ ხისა ვეებერთელა, მწვანე ქუდით არის  
დახურული. ეს ქუდი თავის ჩრდილ ქვეშ ირგვლივ  
დედა-მიწას ერთი ვერსის მანძილზე ფარავს. ადვილი



არ არის ამ გვარ სიმძიმის გაძლება ერთი ხისათვის, ამიტომ უოველი ტოტი ძირს მიწისაკენ უშვებს ფე-სვებს, ეს ფესვები ჰირველად ჭარშია ჩამოკიდული; მერე თან და თან გრძელდება და ოოდესაც უწევს დე-დამიწას, მოკიდებს შეი ფეხს, გამაგრდება და გარ-დიქცევა ნამდვილ ძირათ. მერე შეედგმის ტოტს ქვე-შიდან ბოძივით. ამ გვარად ინდოეთის დევ-გმირი მცე-ნარე ისე მაგრად არის ფესვებზე გამაგრებული, რომ ლდნაჭათაც არ იწუევა.



ხშირად მომხდარა, რომ დიდი ხნის ინდოეთის შეღვის ხეს ამ გვარად ჩამოშვებულ ფესვების წეა-ლობით სამ ათასს წლამდე უცხოვრია.

ეველა ეს უზარმაზარი ღევაგმირები მლიერ დიდ ხანს ცოცხლობენ; ხან-და-ხან ორ-სამ და ოთხ ათასს წლამდის გასტანენ.



# მეღა გუპილის საზარელი თავგადასავალი.

(შოთარობა ლუ ჰერგისი)

## III



დიდი ხნის დაცარიელებულმა კუ-  
ჭის ტან ჯვამ გამოაღვიძა გუპი-  
ლი მის ანგრეულ-დანგრეულ,  
დაღვრემილ, ბნელ გამოქაბულ-  
მი; გარეთ ვარდის ფერი ალი-  
ონი იღიმებოდა; კვირტები იძ-  
ლებოდენ; მწვანე ტექ მხიარულათ ქათქათებ-  
და მზის პირველი სხივებით გაცისკროვნებუ-  
ლი; გულ-წითელას და შაშვების გალობა  
მთელ არ-მარეს ავსებდა თავისუფლების ჭანგებით,  
რომლებიც ტევის უურებს მწუხარებათ ჩაესმოდა; სი-  
ნამდვილის გრძნობა ისე შეესო გუბილს ტვინში, რო-  
გორც ბასრი კბილი კურდღელს მუცელმი; დამორჩი-  
ლებული, უიმედო, ის ხელ-ახლავ წამოჯდა უკანა თა-  
თებზე, რომ უფრო ძოხერხებით ეფიქრნა, ემარხულნა  
და ეცადნა; იქ კი, მის პირდაპირ, ზედ გასავალთან,  
ვით გამავიუქებელი მოჩვენება, ვით დამცინავი ნიშნის-  
მოგება, მახე უძრავათ ამართულიერ.

ეს მახე სულ უბრალო რამ იყო, თვით ლიზე  
მიერ მოგონებული; ორი პატარა ბოძი და ზედ შე-  
უენებული მუხის ფიცარი; მაგრამ ბოძები და ფიცა-  
რი ისე იყო მოწეობილი, რომ როგორც კი ვინმე



შიგ გავლას მოინდომებდა, მუხის მძიმე ფიცარი, კი დეგბზე წმინდათ გათლილი, უცებ ჩამოსრიალდებოდა ბომების ვიწრო დაროუბში, და წელში სწუკეტდა მას.

შიმშილისაგან გამწარებულ გუპილის ტვინში, ამ მახის წინ, წარსული ლხინების სურათები დგებოდა, იმ ბედნიერი დღეების, ოცა ის ხორცით და სისხლით ისე ძლებოდა, ოომ სულის მოთქმაც კი უჭირად; ოამდენი კურდღელი დაუჭირავა ხეების ძირში და ბილიკების ჯვარედინზე, ოამდენ ბაჭიასთვის გაუცხვინებინებია სული მინდვრებში და ველებზე, ოამდენი კაკაბი შეშჭამია მის საკუთარ ბუდეში, ოამდენი კვერცხი შეუსვლებია და ოამდენი ქათამი მოუპარავს სამოსახლოების უკან, მაღლების კბილების და თოფის გრიალის შეუძინებლათ!...

მერე ზამთრის უფრო მდარე ჭამასძა აგონდებოდა, მკვდარი მუდოები, გზის პირას გადაელაპული, წითელი კუნელა, გატიტვლებულ ჩირგვებზე დაკრეფილი, გარეული ვაშლები, მიწაზე, ნოტიო და დამაღფოთლებს ქვეშ ნაპოვნი.

საათები ზარმაცად მიიჰლაზნებოდენ, დაუსრულებელნი, ერთი მეორის მსგავსები, და უფრო და უფრო სტან ჯავდენ გუპილის ფარიელ, დამშეულ კუჭს.

გმირულათ ერთ აღვილს გაქვავებული გუპილი მუცელს მიწაზე აჭერდა, თითქოს ამით მისი გაუშება უნდოდა და შიმშილის დასავიწუებლათ, ახლა წარსულ, თავიდან აცდენილ გაჭირვებაზე ჭყიქრობდა; ჭყიქრობდა ტევიების ზუზუნზე, მაღლების მოსატუებლათ გზების ახლართვა-დახლართვაზე, მოწამლუ-



დღი პურის გორგლებზე იქა-აშ, ტუში, მინდვრებზე...  
მაგრამ ეველა სხვა სურათზე უფრო ცხადათ, უფრო  
ცხოვლათ, წარსული ცუდი დროებიდან, მას თვალ-წინ  
ესატებოდა ზამთრის ერთი ღამე, რომლის ეოველი  
წუთიც საკვირველი სიაშეარავით, იეო ამოჭრილი მის  
მახსოვრობაში:

„მიწა მთლათ გადათესრებულ ია თოვლით, ხეე-  
ბიც თეთრია ამართულან, მკრთალი ციდან მოციმციმე  
გარს კვლავები ცივ და თითქო ავგულ სინათლეს აფრ-  
ქვევენ; კურდღლები არ გამოსულან სოროებიდან, კაპ-  
ბები სოფლებს დაახლოვებიან, მუდოებს სძინავთ თა-  
ვის ღრმათ გაუვანილ მაღაროების მიგარდნილ კუნ-  
ჭელებში; აღარსად მოიპოვება არც გარეული ვაშლი,  
ჩამოცვენილ ფოთლებს ქვეშ, არც კუნელა გატიტვლე-  
ბულ ბუჩქებზე; არსად არაფერი სჩანს, არაფერი ამ  
მოციმციმე თეთრი თოვლის გარდა, რომელიც კინვას  
გაუმაგრებია და რომელიც გუბილის კანაძღისაც კი  
აღწევს, საზამთრო ტუავის სისქის მიუხედავათ.

ტუის მოშორებით სოფელი თავის მაღალ სამ-  
რეკლოს შეჭყარებია და მოსვენებით სძინავს, გუბი-  
ლი იქითკენ მიდის და ჯერ ფრთხილათ უვლის გარ-  
შემო სოფელს, მერე კი, სარჩოს იმედით გატაცებუ-  
ლი, თან-და-თან უახლოვდება მას. —

არსათ არაფერი ხმაურობა არ ისმის; სიჩუმეს  
მხოლოთ, ღრო გამოშვებით, სამრეკლოს საათის რე-  
გა არღვევს, და ხან-და-ხან ღამეში გამოღვიმებული  
ხარების ჯაჭვებს რაწეანი გააქვსთ.

უერთ ხორცის სუნი აღწევს გუბილის ცხვირ



რამდის; სადღაც მკვდარი ცხოველია უთუთ მიტო  
გებული; ის ლაპბა კიდეც და ამიტომ კიდევ უფრო  
ძლიერათ იზიდავს დამშეულის უნისას.

დიდი სიფრთხილით გუბილი მიდის სუნზე, ღო-  
ბებს ეკვრის, ხეების ჩრდილში იმალება, და რამდე-  
ნიმე ნახტომის სიშორეზე უახლოვდება ლეშს, რო-  
მელიც შავათ გამოიხატება თოვლის სითეთრეზე; მის  
ჰირდაპირ ერთი სახლი მოსჩანს, სიჩუმით და სიბ-  
ნელით მოცული; გაღებული დიდი ფანჯარა ცხადათ  
ამტკიცებს, რომ შიგ უველას სძინავს, ან და არავინ  
არის.

მაგრამ გუბილს ეჭირ ეპარება; შინა-გრძნობა აფ-  
რთხილებს, აშინებს; საცდელათ ის ისარივით გარბის  
გაშლილ ალაგზე და შეუჩერებლათ უვლის გვერდით  
ლეშს, თან თვალს არ ამორებს მეუდო, მაგრამ სა-  
ეჭვო ფანჯარას; სხვა მის ადგილას ვერაფერს შეამ-  
ხნევდა, მისმა გამჭრიახმა თვალმა კი ერთ სარკმელ-  
ზე, სადაც მკრთალი მოწითალო შუქი გაარჩია, და ეს  
საკმარისია, ის მიხვდა.

ქაცმა, რომელიც იქ, ფანჯრის უან ზის, გატე-  
ნოს, რამდენიც უნდა, თოფი, მოემზადოს სასროლათ,  
უდარაჯოს; ტევია გუბილისათვის არ იქნება; რადგა-  
ნაც გუბილი დარწმუნებულია, რომ ამ წევდიადით მო-  
ცულ სახლში, ამ მეუდო ფანჯარას უკან კაცია მი-  
მალული, მისი მოსისხლე შეტერი, მისი ჯიშის მდევ-  
ნელი და ამომწევეტი; მას განგებ დაუქრია სინათლე,  
ვითომ მმინავსო, მაგრამ ბუხარში ისევ ღვივის უთუ-  
თ ცეცხლი და მისი მკრთალი, წითელი შუქი სარ-

კმელზე ცხადათ ამტკიცებს კაცის იქ ეოფნას; გუბილს ხშირათ გაუგონია თოფის გრიალის ხმა ღამეში და ახლა მან იცის, რატომ არ სმინავს კაცს და რას უცდის იცი. ვინ იცის რამდენმა სხვამ, მასზე უფრო თავხედმა, დაუფიქრებლათ მეაკლა თავი მტრის თოფს! და გუბილმა წარმოიდგინა აქ დატრიალებული მრავალი საცოდაობა: კაცი მოსვენებით ზის თავის საიდუმლოებით მოცულ ბნელ სახლში, სარგებლობს ტეის მხედვების გაჭირვებით, იტეუებს მათ მიმშილის დასაკმარისილებელი სარჩოთი, და, მარჯვე წამს, უჩინარი, დაფარული, გაღებული ფანჯრიდან სწევეტს თავის მსხეურპლებს. აქ დაიღუნენ, უთუოთ, გუბილის მმობილები, მელიები, რომლებმაც სოფლისკენ გამოსწიეს და რომლებიც მას შეძღვებ მას აღარ უნახავს.

და გუბილი ნელ-ნელა, ისევ მალვით, ტეისკენ ბრუნდება; მაგრამ უეცრათ, ერთ ეორეზე, რაღაც პატარა ოთხვეხის აჩრდილს ჭიედავს; მისი მუქი თვალები ბნელაში მოელვარე თვალებს არჩევენ... ერთი უშველებელი ნახტომით ის დაუახლოვდა კატას, გამოუდგა მას.

გატამ კარგათ იცის, რომ მისი ბრჭევალები, ძაღლებისათვის საშიში, მელას ვერ შეაჩერებენ, და რომ ვერც გაქცევა ისსნის მას გუბილისაგან; მაგრამ საბედნიეროთ ვაძლის ხე მოჩანს ეგერ, სულ ახლოს; ის მიექანება ხისკენ, კიდეც მიაღწია, აი, კიდეც მოებდაუჭა მას... მაგრამ მელამ პირი მოავლო, კბილი გაჭერა... და ღამის სიჩუმეში ვაისმა ხანგრძლივი და საშინელი ქნავილი, სიკვდილის მომასწავებელი ქნა-

զուլու, როմելլմաց զամռաջզօնմա და მოუსეյբრათ սպუյფა  
მთეլու სოფուն და არე-მარეში გაფანტულու სამო-  
სახლოების ძაღლები.“

ბევრი სხვა სურათებიც იღვიძებდა და თრთოდა  
გუპილის მახსოვრობაში, საათები კი ერთი მეორეს  
მოსდექდენ, ერთფეროვანნი, ერთგვარნი, და დღეები  
გაუთავებლათ გრძელდებოდენ.

მერე და მერე გუპილის აზრები აიძალენ, აიბ-  
ნენ; ბევრი წარსულის ხსოვნა აწმეოს უბედურუ-  
ბას აერია და რადაც საოცარ, საზარელ წარმოდგე-  
ნებათ იქცა; მას ეჩვენებოდა, თითქო გეგერთელა კურ-  
დღლები, თათ-ჩაკიდებულნი, მის გარშემო ფერხულს  
ცეკვამდენ, თოფს ესროდენ მას, საფანტით კანს  
უხვრეტდენ, ტყავს და ბალანს აკლეჭდენ, მაგრამ ბო-  
ლოს მაინც ვერ უღებენ; სიცხისაგან მთლათ დარე-  
ტიანებული იყო; მისი წაწვეტებული შავი ცხვირი,  
ჩვეულებრივათ გრილი, ახლა გახურებულიუო, თვა-  
ლები გაწითლებოდა, გვერდები ჩაცვენოდა, გრძელი  
და ვიწრო ქნა ისე გადმოვარდნოდა, როგორც სკელი  
ნაფლეთი; მის წვეროჲე ხან-და-ხან თვლის ჸატარა  
წუნწკალი ჩამოეკიდებოდა ხოლმე და გამშრალი ჸი-  
რის გასაგრილებლათ გუპილი ამ წუნწკალს ხარბათ  
სკლებდა.

დრო კი მიღიოდა; ხან-და-ხან გუპილი ცდილობ-  
და მიმხვდარიუო რაში მდგომარეობდა ნაგრძობი ხი-  
ფათი გასავალთან, ვინ იცის, მამინ როგორმე იქნე-  
ბა კიდეც აუცდინა იგი, მაგრამ მის საბრალო ტკინს  
კაცების გშმაკობის ვერა გაეგო რა; და ამ გაუგებარს,

უცნობს, საძიშ საიდუმლოებით მოცულს, ის არჩევდა შიმშილს და ტანჯვას თავის მიუვალ საფარში.

ერთ დილას დიდათ გაიხარა, ეკონა გავნთავის სუფლდიო; კაცი მოვიდა; ის რამდენსამე ხანს დარჩა გამოქვაბულთან, რაღაც შეანძრია და წავიდა; მაგრამ გაბრაზებულმა შემოკურთხევამ, რომელიც წასვლისას წამოისროლა, უკანასკნელი იმედიც გაუქრო გუპილს გულში; ლიზე მხოლოთ მახის გასასინჯათ მოსულიერ, და ახლა უოველ დილას, ალიონზე, ის მოდიოდა, რადგანაც გრძნობდა, რომ დასასრულო ახლოვდებოდა.

სიცხე კი სულ უფრო და უფრო სწვავდა გუპილს; ის ხან მიწაზე ეგდო გამოტილი და თავიდავიწევებით ქოქინებდა, ხან ისევ წამოვარდებოდა და გარს ურბენდა თავის საპერობილეს, სასოწარკვეთილებით ემებდა ხსნას, რომელსაც ვერსად ვერ ჰქოულობდა.

ცაზე მთლათ წითელი მთვარე მოსრიალებდა; მელას ის სისხლიანი ხორცის ნაგლეჯათ ქვეენებოდა, რომელიც რაღაც უწეალო, შეუბრალებელ მალას მიჟჭონდა, ლრუბლების ფიანდაზზე დასევენებული; ის გამტერებით ადევნებდა მას თავის გადიდებულ, გაფართოვებულ თვალებს, საცოდავათ იგრძელებდა მისკენ ჩამომხმარ კისერს, გაწვრილებულ ცხვირს. როგორც მისი ტევეობის პირველ დამეს, ქარი მძლავრათ ჰერიალებდა ხეებს შორის, და მის გრიალში გუპილს თითქო აურიცხველი ძაღლების ეეფა ესმოდა. ეეფა, რომელიც თან და თან ახლოვდებოდა; თავისი საკუთარი ტვინის ზრიალი მას წეაროს ჩუხჩუხათ ჩაესმოდა და

აუტანელი წეურვილის მოსაკლავათ ის შეუწევეტლათ  
ტრიალებდა, ეოველი მხრით ეძებდა წეალს, გამსჭვერ,  
წმინდა წეალს, რომელსაც ნეტარებით დაეწიდფებოდა.

ძეთერთმეტე ღილის ცისკარი რძესავით თეორ  
შექს აყრევევდა სის ტოტებზე; გუპილს მეტი ცდა  
აღარ შეეძლო, გუპილს ბოლო უნდა მოედო ამ დაუ-  
სრულებელი ტანჯვისათვის; ერთ წამს გადასწევიტა,  
გაბედა, მოიკრიფა უკანასკნელი ძალ-ღონე, მოიმარჯ-  
ვა თავისი საწეალი, გამსდარი თათები, უიმედო თავ-  
განწირვით მოსხლტა ადგილიდან და გაექანა გასაკ-  
ლისაკენ, უცნობ, გაუგებარ საიდუმლოსაკენ.

(შემდეგი იქნება)

**თბილი. ელ. დემოლინ-წერეთლისა.**





## ბურთა სონა.



არებს უკან ატუზულა  
ცუგრუმელა, ბურთა სონა;  
გაბურული ჰაწაწუნა  
მობუზულა თითის ტოლა.

დედამ ჭკითხა: ჩემო შვილო,  
რაზედა ხარ მოწევენილი?  
რას ბუზლუნებ, ციცუნიავ,  
დაგიშვია რისთვის ცხვირი?

ქაირები და ლექსები  
გიგლამ წიგნძი წაიკითხა;  
მე კი ჯავრი მომიკიდა,  
რომ არ ვიცი წიგნის კითხვა.

მეც მომცი, ღედავ, წიგნი,  
რომ ვისწავლო ანა-ბანა  
და სკოლაში გიგლას გავუვა,  
სასწავლებლათ ტოლებთანა.

ღედამ უთხრა: გაიზრდები,—  
მაძინ წახვალ სკოლაშია,  
და ეხლა კი გაერთევი  
ტიკინების თამაშითა.

ଧ୍ୟଦିଲ୍ଲଙ୍ଗାନ, ମାମ ମିଳିଲୁ  
ମେ ତିକିନା, ତାତିକିନା,  
ମାନ୍ଦ୍ରିନାର୍ଜୁ, ମାନ୍ଦ୍ରାତ୍ସୁ,  
ତମିଥ କୁଷ୍ଣିର୍ବା,—ଗୋପିନା.

ଅନ୍ତର୍ଜ୍ଞାନରେ ପୂର୍ବିକ ନାମଗର୍ବା.  
ଧିଲିତ ତିରି ଧାରିବାନା,  
ମାନ୍ଦ୍ରାତ୍ସୁ ମାନ୍ଦ୍ରାତ୍ସୁ,—  
ତିକିନା ଧା ଅନାଦାନା.

ଅଛୁ ଫେରାନ୍ତାଙ୍ଗେ.



# გ ა მ რ ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ან. კაპიტანისაგან)

ერთი პატარა მინდორი  
აზღუდა შემოვლებული  
ბეჭრჯელ მინახავს მორწეული,  
არ არის აძრვანებული.

---

სულიერი უსულობე

უსულო ურჯულობე.

---

**ახსნა რეგუსისა (დაბეჭდილი მარტის ნომერში)**  
ბუხარი ზამთარში ტკბილია.

---

აფარალი ჩალის ეპ. გაგაშვილი  
ორგოვი შლის იუგილე.



ანვლილი პირველი მაისი დიდათ საყურადღებო  
დღე იყო. ამ დღეს ქართველი ერი ორ დღესას-  
წაულს მიეგება.  
პირველი, როგორც ყოველთვის პირველ მაისი,  
იყო დღესასწაული თამარ მეფისა; ქართველი ერი ამ დღეს  
გაიხსენებს თამარ მეფეს, თავის მოკირისუფლეს და დიდებულ  
წინამძღოლს, რომელმაც ფეხზე დააყენა დაცუმული საქართ-  
ველო და შეაერთა, შეაკაშირა სხვა-და-სხვა კუთხე საქართ-  
ველოსი, დაამყარა ერთობა.

მეორე იყო დღესასწაული, ორმელიც გაიმართა თბილი-  
სის ქართულ თეატრში ნიჭიერ და დამსახურებულ მწერალი-  
ქალის, ჩვენი „ჯეჯილის“ მუდმივ თანამშრომლის ეკატერინე  
გაბაშვილის ორმოცი წლის სალიტერატურო სარჩიელზე მო-  
ღვაწეობის აღსანიშნავათ.

მშვენიერი დღე იყო. ბუნებაც ხელს უწყობდა ხალხის საერთო დღესასწაულს. მზის სხივების ციმციმი, ნიავის ჩუმი ბუტბუტი, აყავილებულ ხის ფოთოლთა შრიალი და ბუნების კეკლუცად მოკაზმულობა თავისებურ შნოსა და ელფერს აძლევდა. ხალხის სადღესასწაულოდ მზადებას.

საღამოს რვა საათზე ქართული თეატრი ხალხით გაიჭედა. იუბილიარი ეკ. გაბაშვილი ეტლით მობძანდა; მას მოჰყვებოდენ: „ჯეჯილის“ რედაქტორი ქ-ნი ან. წერეთლისა და შვილები, — ქალ-ვაჟი.

პირველად ბელლეტრისტმა ნიკო ლომაურმა, „ქაჯანა“ და „ალის“ დამწერმა, წაიკითხა მოკლე ბიოგრაფია ეკ. გაბაშვილზე და საქაოდ დაახსიათა მისი ნაწერები. შემდეგ ამისა მსახიობებმა ითამაშეს ეკ. გაბაშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული ერთ მოქმედებიანი სცენები: „ბედი მუხთალთა“. ამ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, არტისტებმა დამსწრენი ბეგრი აცინეს.

ს. მგალობლიშვილმა და გრ. ლიასამიძემ წაიკითხეს იუბილიარის მოთხრობები. ქალთა სამკერვალო სკოლის მოწაფე ქალმა წაიკითხა ეკ. გაბაშვილის პაწია ესკიზი — „ნაკადული“, რომელიც „ჯეჯილში“ იყო დაბეჭდილი; მისმა მოხდენილმა კითხვამ ხალხში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა

ამის შემდეგ გაიმართა მოლოცვები. აიხადა ფარდა და ჩვენს წინ თვალ-წარმტაცი სურათი გადაიშალა. ერთის მხრით პატივცემულ იუბილიარის მიერ დაარსებულ ქალთა სამკერვალო სკოლის მოწაფე-ქალები იყვნენ ჩამწკრივებულნი, იმათ ხელში ეჭირათ მშვენიერი თაიგული, რომლიდანაც გამოყვანილი იყო სახელი იუბილიარისა: „ეკატერინე“. მეორეს მხრით ისხდნენ მომლოცველები. ამათ უკან იდგა მ კავსაძის მგალობელთა გუნდი.

იუბილიარი მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ ხელ-ჩაკიდებით გამოიყვანა სცენაზე და ცალკე მისთვის გამზადებულ სავარძლისკენ წაიყვანა; შემდეგ მოკლე, გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და მიულოცა თავის მხრით ქ-ნ ეკატერინეს.

ამის შემდეგ ბეგრი მოლოცვები წაიკითხეს, ბევრი საჩუქრები მიართვეს. მშვენივრად მღეროდა მგალობელთა გუნდი ბ. მ. კავსაძისა, კარგათ იმღერეს ქალთა სამკერვალო სკოლის

მოწაფეებმა: „სალამი შენდა“, და თავიანთ მიერ,— იუბილია— რის ესკიზის „ნაკადულის“ მიხედვით— მშვენივრად ამოქსოვილი საჩუქარი მიართვეს.


ჩვენი უურნალის და მისი ხელმძღვანელის ქ-ნ ანასტასია წერეთლისაგან ჩვენმა წარმომადგენელმა პატივცემულ იუბილიარს თაიგული მიართვა და შემდეგი ადრესი წაიკითხა:

### ნიჭიერ მწერალს და ძვირფას მეგობარს ეკ. გაბაშვილს.

შენი ნაამაგარი „ჯეჯილი“, რომელსაც დაარსებიდან არ მოშორებიხარ გიძლვნის სალამს, გამკობს ყვავილებით და გილოცავს შენ დაუღალავ მოღვაწეობას სამწერლო ასპარესზე. არც ერთ წელიწადს მისი არსებობისას არ გიღალატნია მის-თვის და ერთად შეერთებული ყველა მოთხრობები „ჯეჯილ-ში“ დაბეჭდილი არ ჩამოუტჩიება არც რიცხვით და არც შინაარსით სხვა შენ ნაწერებს. მხოლოდ პატარა ბავშვის ჩვილი გული უფრო შეითვისებდა და ჩაინერგებდა შენ მოძღვრებას.

„ჯეჯილთან“ ერთად მისი წინამდლოდეიც დროს თანაგრძნებით ებებება შენ იუბილების და გულახდალად აღიარებს, რომ კარგა ხანს „ჯეჯილის“ დაარსებამდის ის არც ერთ თავის ნათარგმნს, გალმის მოსმას და რომელიმე საზოგადო საქმის დაწყების გრძნებას არ მოიუვნდა სისრელეში— შენ დაუკითხავად, შენ დაულოცებელად.

მაში იკოცხლე მრავალ ქამს, ძვირფასო მეგობარო, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ.





## ალექსანდრე შაველონელი.

(ფრიდრიხ რიუკერტისა 1788—1866)

**O**ვისი ლაშქრით ალექსანდრე მაკელონელი  
უდაბნოს გზითა მიღილდა იმა მხარესა,  
რომელიც იქვე, ამ უდაბნოს მოსაზღვრე იყო,  
ომი სწყუროდა... ის მიადგა დიდს მდინარესა...  
ძნელის მგზავრობით დაქანცულმა ნაყოფიერსა  
მდინარის ნაპირს დაასცენა თვისი ლაშქარი,  
და დალლილს ლაშქარს დაეჭინა. ტკბილი ძრის დროს  
შუბლს უგრილებდა მას ხეობის ნიავი წყნარი.  
მაგრამ ვერ შესძლო დაძინება მაკელონელმა;  
თვით ერთი წუთიც მოსვენების მას აღელვებდა;  
სიცხისა ქვეშე და მინდვრისა სიმშვიდის შორის  
დაუდეგარი მისი სული არ ისვენებდა.  
ეცხადებოდენ იმას, ვითა მოჩვენებანი,  
სამეფო ტახტნი დანგრეულნი, ქება-დიდება,  
უფლება, ძლევა და დაღუპვა მრავალი ჯარის,  
მთელი მსოფლიოს დაპყრობა და დამორჩილება.  
მდინარის ნაპირს მივიდა ის და დაიხარა,  
პეში აივსო ცივის წყალით და შესვა ტკბილად;  
გამოუცოცხლდა მის წვეთებით მთელი სხეული,  
და თვისი თავი იგრძნო იმან ახლად შობილად.  
მიხვდა იგი, რომ ის ქვეყანა, სადაც მდინარეს  
სათავე უძევს, იქნებოდა ღვთივ კურთხეული,  
და მის ნაპირზე საამქვეყნო ბეღნიერება  
უკვდავი სხივით იქნებოდა აღყვავებული.  
იმა ქვეყნისა მკვიდრნი ერნი, ეჭვს გარეშეა,

რომ განიცდიდენ მშენიდობას და კეთილ დღეობას,  
და საარაკო სიმღიდრითა გალაღებულნი,  
ქებათა-ქებას მიუმღვენიდენ თავისი უფლებას.

— „წავიდეთ იქა! იქ წავიდეთ ხმლითა და ომით; უნდა უხრიდნენ ისინი ქედს ჩემს ბატონბას, და ჩემი მეფურ მოწყალების ნაყოფად სოვლიდენ თავის უდარდელს და ბერინიერს ყოთა-კხვარებას!“

უბრძანა მეფემ, რომ დაუკრან სამხედრო ბუკი...

ბუკისა ხმამან ტკბილი ძილი გაუტერთხო ჯარსა, და სისწრაფითა თავის ყოვლის შემმუსვრელ ძალით იმ ახალ ქვეყნის დასაპყრობად გაუდგა გზასა.

ბევრი იარა ალექსანდრემ და მაინც კიდევ კერ მიაღწია სანატორიუმის, შევბის მომცემსა...

ბოლოს მიაწყდა ერთს ქვეყანას, რამ საუკეთოვოს, მიაწყდა იგი თავის ჯარით თვითონ ედე მსა.

მაგრამ ედემის კარი დახვდა იმას დახული,

და მის გვის წინ კი ანგელოზი იდგა ფრთოს

ოოძელსაც ხელი მოეღვარე ნბალი ეჭირა,

— იეჲოლი — ლქვა ბას აზგელონის მათ საკვირველია, —  
აწეს ადრე აუც ა 1 შემოსახული არ ა 1-ს წე.

— මිලේ නැරු මිලේ මිලෙ මිලෙ මිලෙ මිලෙ

— පුද්ගලික සාම්පූහනයෙන්! — ප්‍රංශවල මා පුද්ගල්,  
තාන් න්‍යුතුවක් තැබ්දී යොමු මිත් ගැනීමෙන්ද?

— ମେହିୟନରେ ମିଳିଲା-ମିଳିଲାଏନ୍ ଏହି ମିଳ ଏହି ଲା

— ମେ କି କାହାର ମିଳିବା ପାଇଁ କାହାର ମିଳିବାକୁ—

— შენ თვით წარმოსახული განჩინება შეისავ თავზეთა! —

မိုးဘွဲ့ ဝမ်းဆောင်ရွက်ခြင်း၊ ပုဂ္ဂန်များ မြတ်စွမ်းမှု၊

--- ის ელიტურსება სამოთხისა წიაღში შესვლას,

ვინც ალ შფოთებულს თავის ვნებათ დაიმორჩილებს,

და ვინც სულითა მდაბალია, არა ზეიადი...

ხოლო ქვეყნისა მაწუხებელთ და დამარბევლებს

როგორიც შენ ხარ, გაუმაძლარს ისეთსა ხარბთა

ლვოისგან სამუდმოდ დახშული აქვსთ ედემის კარი...

მაკედონელმა ანგელოზსა სთხოვა შემდეგი:

— „აღ მსურს დავბრუნდე უკან ბელით გულ განამწარი...

რაღგან მოვედი ჩემის ფეხით ედემის კარსა,



რასაც არც ერთი ლირსებია ჯერ მომაკვდავი,  
 მომეცი რამე ნიშანი, რომ მთელმა მსოფლიომ  
 შეიტყოს ჩემი სამოთხის კარს მოსვლის ამბავი!  
 — აპა ნიშანი! წაიღე და თანაც ვისურვებ,  
 რომ დიდ შეგნებით გაგინათლოს გონება ბნელი!“  
 თან წამოიღო ის ნიშანი, უკან დაბრუნდა...  
 და გზაში შეერბენ მეფის სიტყვით მისი ბრძენები.  
 უბრძანა იმათ მისულიყვენ იმის წინაშე  
 და განეხილათ ის ნიშანი წამონალები.  
 შეუბლი შეიკრა მათ წინაშე ალექსანდრემან  
 და უთხრა იმათ,— საჩუქარი რამ გასაშტერი  
 და ზიზღის ლირის მიძღვნეს მეფეს ალექსანდრესა,  
 აღამიანის გახრწნილის ძვლის ერთი ნაჟერი.  
 ერთმა ბრძენმა რქვა ალექსანდრეს: — „ფილიპეს ძეო!  
 ზიზღით ნუ უცქერ გახრწნილს ძვალსა! უნდა ვთქვა სწორი:  
 ჰეთე მას და ის უსათუოდ მოგცემს პასუხსა!“  
 და ბრძენმა ბრძანა მოეტანათ მისთვის სასწორი.  
 მის ერთი თეფში მან გაავსო ოქროს ზოდებით  
 და მეორეზე იმან დასდო გახრწნილი ძვალი...  
 შეხეთ სასწაულს ძვალმა ოქრო ზე აიტაცა...  
 განცვიფრდა მეფე... ორჯერ მეტი ოქრო დაჰყარა,  
 ზედ დაამატა თვის გვირგვინი, კვერთხი და ხმალი,  
 მაგრამ არ იძერის თეფში ძვლითა არა და არა!!.  
 ტახტზედა მჯდომი ალექსანდრე მეტად შეშინდა  
 და ჰეთხა ბრძენსა: — „რა ძალაა ის იდუმალი,  
 რომ ბუნებისა კანონს არღვევს ჩემსა წინაშე...  
 იქნებ რამ იცი ბუნებისა შველის წამალი!  
 — უბრალო მიწა ბუნებისა კანონს უშველის! —  
 მიუგო ბრძენმა და დაჰყარა მიწა მან ძვალზე.  
 უეცრად თეფში გახრწნილი ძვლით მაღლა მოექცა,  
 და ოქროს თეფში კი დაეშვა დაბლა მიწაზე.  
 ბრძენმა განმარტა: — დიდებული მეფევ, ოდესმე  
 შენი თავისა ქალს მსგავსი თავი გახრწნილა,  
 მასში ყოფილა მკალი ესე სწორედ ნაწილი  
 იმ ადგილისა, რომელ თვალის ბუზედ მითვლილა!  
 აღამიანის თვალი ერთობ პატარა არის,

მაგრამ სიხარბე თან ახლაցს მას გაუმაძლარი;  
 სიხარბით უცქერს ის ყველაფერს, რაც წუთისოფლად  
 ჩვენის ხედვისა წარმტაცია და გამახარი.  
 იგი მზადა თვის სიხარბით მთელი ქვეყანა  
 თვითონ შეყლაპოს, ისეთია გაუმაძლარი;  
 არ ყოფნის იმას არც გვირგვინი, არც მეფის კვერთხი  
 და მთელი ქვეყნის ოქროც მისთვის კი ცოტა არი.  
 მაგრამ იმავ თვალს თუ დააყრი ზემოდამ მიწას,  
 მაშინვე ჰქონდა მის ასეთი გაუმაძლრობა...  
 და მიწის მჩატე ტვირთის ქვეშე იმას ესპობა  
 თვისი სიხარბე, მასთან ერთად თვის მხედველობა.  
 შენ, დიდებულო ხელმწიფელ, ამა ნიშანით  
 შეიგნე დროის და ცხოვრების სწორ მნიშვნელობა,  
 და შენს წინაშე ამ გახრაწნილი ძელისა სახითა  
 სდგას კაცის თვალის სიხარბე და გაუმაძლრობა!“  
 მეფე უგდებდა ბრძენის სიტყვებს თავ-ჩაქინდრული  
 და შუბლ შეკრული... მაგრამ ადგა მოულოდნელად  
 და დაიყვირა ისეთის ხმით, რომ თვით კლდეებმა  
 გამოახილი მოსცეს მის ხმას გულთ შემშფოთველად.  
 —იქუხე, ბუკო, წინ, წინ გასწი, ჩემო ლაშქარო,  
 სიცოცხლე ჩვენი მოკლე არის, მიქრის დროება...  
 სირცხვილი იმას, ვისაც ამა სოფლის ცხოვრება  
 და ძირფასი დრო უქმობაში დაეხარჯება.  
 მისი ლაშქარი გაემგზავრა ინდოეთისკენ  
 ხმაურობითა, ვით პირ ღია მშიერი გველი...  
 იქ ალექსანდრე სისხლსა ღვრიდა და იმარჯვებდა  
 და ახალ-ახალ გამარჯვების იყო მსურველი,  
 შემდეგ ოვითეულ გამარჯვების ინდოელებზე.  
 გაუმაძლარი მის სურვილი ბოლოს განქარდა:  
 როდესაც მეფეს მიცვალებულს კარის კაცებმა  
 თვალებზე მიწა დააყარეს, მაშინ დაწყნარდა.

თლ. ფერაძე.



# ბიძიას ნაშმბობი.

(ბაგშვების ცხოვრებიდან).

25 ქრისტეშობისთვი.

## დღეხასწაულები.



სეც ჩვენი შობა... დღეს საყდარში უნდა  
წავიდეთ... ყველაზე აღრე მე გამომელვი-  
ძა... ჩექმები მივიწმინდ-მოვიწმინდე, ტა-  
ნისამოსი გავისუფთავე, ხელ-პირი დავიბა-  
ნე ცივი წყლით ისე, როგორც ჩვენი უფ-  
როსისაგან მჯონდა გაგონილი და გარეთ  
გამოვედი... სუსხიანი დღეა... არა თოვს,  
მაგრამ თოვლი კი ბეჭრია ჩვენს ეზოში...  
მზეზე მშვენივრათ ბრჭყვიალებენ ჩვენი  
სკოლის შენობაზე ჩამოკიდული ყინულის  
სხეპლები... მცივა, მაგრამ არ ვეპოები ამ  
სიცივეს და სიცივისაგან საცოდავათ მო-

ბუზულ ბეღურებს პურის გულს უყრი... ესენი სრულიათაც  
არ მერიდებიან და გულ-საკლავი უღიერილით ესევიან მოუღო-  
ლნელ საკვებავს... მალე ჩემი ამხანაგებიც გამოცვივდნენ ეზო-  
ში და დაიწყეს გუნდაობა... უფროსმა ზევიდან გადმოვგახა  
დასაწყნარებლათ სასადილო ოთახში შევსულიყავით და მერე  
საყდარში წასასვლელათ მოვმზადებულიყავით. ჩვენც წივილ-  
კივილით მიგაშურეთ ოთახს... ჩაი უკვე მზად იყო... მიგსით-  
მოვსვით საჩქაროთ, პურის კარგი დილი ნაჭერით ჩავი-  
გემრიელეთ ყელი და ოთახებში წავედ-წამოვედით... მალე  
უფროსიც ჩამოვიდა, მიგვათვალ-ჩაგვათვალიერა, გვიბრძანა  
დიდ დარბაზში შეკრეფა და ტკბილი ხმით მოგვილოცა დღე-  
ვანდელი ბრწყინვალე დღე, დღე ქრისტეს შობისა! მერე და-  
გვამწკრივა და წაგვიყვანა საყდარში.

ქუჩაშიაც კარგათა ციოდა... ფეხები სულმთლათ დამა-  
ძრა, ყურებმაც იგრძნეს სუსხი, მაგრამ მე მაინც არ ჩამოვ-  
რჩენილვარ ამხანაგებს... მალე გალავანშიაც შევედით... წირვა  
უკვე დაწყებულიყო და გარეთ არავის ჭაჭანება არ იყო, გარდა

რამდენიმე მათხოვრისა; ესენი საყდრის კარებთან ჩამომწკრია... ებულიყვნენ და დაძონძილ ტანისამოსში კანკალი გაჰქონდათ... ერთი მათგანი მე ვიცანი კიდეც: ჩვენებური კაცი იყო, სოფლიდან ქალაქში სამუშაოთ ჩამოსული, მარჯვენა ხელი სულ არ უჩანდა და მარცხენით მოწყალებასა სთხოვდა... ამანაც მიცნო, დამიძახა კიდეც, რაღაც უნდა ეკითხნა, მე კი შემრცხვა და უურადლება არ მივაკიც; მხოლოთ ეს ღა გავიგონე: — აი დედასა... ეს ბიჭი ჩემს კალთაში გაიზარდა და ახლა კი ყურაბთ, ხმის გაცემაც კი იუკადრისა!.. ოჰ, სად არის, ღმერთო, შენი სამართალი? ჩვენმა მასწავლებელმა გაიგონა ყველა ეს სიტყვები, ხელში ფურები ჩაუწყო და რას ლაზედაც ლაპარაკი დაუწყო!.. მერე ჩემთან მოვიდა, ჩამკიდა ხელი და მიშიყვანა იმ მათხოვართან და თვითონ კა მოგვუორდა.

— შვილო, სანდრო, გენაცვალე, განა ველარ შიცანი, რათ მომარიდე, შვილო, თვალი? დედაშენი როგორ არის! შენი ძმები როგორ არიან? სად არიან შენი ძმები — უნდა იმათთან მივიდე, დაუჩიქო, შევევედრო, რომ მიშველონ რამე, რომ ჩემი ცოლშვილის ცოდვაში არ ჩავარდე, შიმშილით იგინი არ დამეხოცნენ. აი ხომ ჰედავ, მარჯვენა ხელი აღარა მაქვს, ი გავერანებულმა მაშინამ მომწყვიტა, ნახევარი კაციც აღარა ვარ და ჰყურობ — შარმაზანი ეკლესის კარებს ატუზია და გამვლელ-გამომვლელს მოწყალებასა სთხოვს... შარმაზანი და მათხოვარი!.. აი დედასა!.. სთქვა ეს, თვალებში ცრემლი მოერია და გულ-ჩათუთქულმა მითხრა: — წადი, შვილო, შექცივა, თორემ მე რა მამკლავს, ძაღლი ვარ? მე გაბუნჩივილი ვიდექ მის წინ, მკვდარი, მეხი რომ დამცემოდა ის მერჩივნა ამ სიტყვების გაგონებას: სინიდისმა ქეჯნა დამიწყო, მთლათ აჭარხალებული მოშორდი ამ საცოდავს და ამხანა-გებში ჩავერიე. თუ როგორ გათავდა წირვა, როგორც თქვენ არა ჰყოფილხართ და არა გაგიგონიათ რა, ისე მე ვერა გავიგე რა! მხოლოთ ეს მახსოვს, უფროსი ყველაზე ადრე გავიდა გარეთ... ყველას მოწყალება მისცა, დაელაპარაკა და მერე დამიძახა მე და ალერსიანათ მითხრა: — აბა, გაუძეხი ამათ და ყველანი ჩემთან წამოასხი, ყველა ესენი დღეს ჩვენი სტუმრები არიან; მეტადრე აი ამ პაწაწინებს უგდეთ ყური — გზა არ დაკარგონ,

მაგრამ ამათ მე წავასხამ, თქვენ კი ეს დიდები წამოიყვანეთ და რითიც შეგვეძლება იმითი გაუმასპინძლდეთ მათ“. — სთქვა ეს, ჩაჯდა ჩვენი უფროსი ეტლში, ორი გოგო-ბიჭი ჩაისვა, ვიღაც დაძონძილ ტანისამოსიანი დედა-კაცი გვერდზედ მოისო და გაბრწყინებული სახით გასწია შინისაკენ. ჩვენც მალე ექვსი მათხოვრით მივადექით სკოლის ეზოს.

### ჩვენი სტუმრები.

დღეს ჩვენი უფროსი და ყველა ჩვენი მასწავლებლები ჩვენთან ერთათ სადილობენ. დიდი მათხოვრები მასწავლებულებთან სხედან და პატარაები-კი ჩვენთან... თვითონ უფროსი ფეხზედა დგას, მიდი-მოდის და ყველაფერსა სთავაზობს ამათ... ჩვენი ვასილ პეტროვიჩი ძალიან მხიარულათ მეჩვენა დღეს: სულ იცინის, ყველას აცინებს და უმასპინძლდება კადეცა ჩვენ სტუმრებს... სადილის შემდეგ ყველანი უფროსთან წავიდნენ... მათხოვრებიც თავისთან წაიყვანა უფროსმა და ყველა ესენი გამოკრული ბოხით გაისტუმრა შინისაკენ... ამათაც დალოცეს, დღეგრძელობა უთხრეს ჩვენ მადლიან უფროსს და მოშორდნენ ჩვენი სკოლის არე-მარეს... ამ სანახაობით განათლდა ჩვენი გული, სათნოების კარები გაერო ჩვენს გულს და ჩუმათ ამ დიდებული სანახაობით გაკვირვებულნი მივიფანტ-მოვიფანტენით ჩვენ-ჩვენ თახებში და ბევრხან ვბასობდით ამ აბბის შესახებ. მალე ვასილ პეტროვიჩი შემოვიდა, და შემდეგი ამბავი წაგვიკითხა თავისი დალოცვილი ხმით:

### გოგოს მოწყალება.

გიგო ძალიან კარგ გუნებაზე ადგა, საჩქაროთ ჩაიცო წინ-დები, გამოიკვანწა „სამატროსო“ ტანისამოსში, პირი დაიბანა, გადაივარცხნა თმა და შევარდა სასადილო თახებში. გიგომ ჩაკოცნა თავისი დედა, ფაცა-ფუცით დალია ერთი ჭიქა რძე, წამოიკინკრიხა ქუდი და გავარდა ეზოში.

მთელი დილა თამაშობაში და მხიარულობაში გაატარა: ჯერ ბანჯველიან მურას ეთამაშა, მერე თავიანთ მეეტლეს შვილთან „ცხენიანობა“ ითამაშა და ბოლოს, როდესაც მარტო დარჩა, ქვების სროლა დაუწყო ბელურებს. თუმცა ვერც ერთს ბელურას ქვა ვერ მოახვედრა, მაგრამ საცოდავები მაინ-

ცა და მაინც შეშინდნენ და ყველა მის ხელის აღებაზე შრია-  
ლით გადაფრინდებოდნენ ღობიდან ბანზე და ბანიდან ღობე-  
ზე. მათი ფრთხიალი აკვირვებდა და კიღეც ართობდა გიგოს. მის სახეს ჭახჭახი გაჰქონდა, მისი მქრქალი თვალები ბრტყელი-  
ნავდნენ... სირბილისგან მოქანცული გიგო მძლავრად ქში-  
ნავდა.

უეცრივ, ამ გახურებული სირბილის დროს, ჭიშეართან  
გამოჩნდა მოკლე, ღამონძილი კაბით პაწაწინა გოგო... ერთ  
ხელში კალათა ეჭირა.

— ბატონიშვილო!... ძვირფასო!... ლვთის გულისთვინა,  
მოწყალება მოიღე, — მოკრძალებით უთხრა გიგოს.

გიგოს უნდადა კიდევ ესროლა ქვა ბელურებისათვის, მა-  
გრამ შესდგა და ცოტა ხნის შემდეგ ახლო მივიდა გოგოსიან.

— შენ ვინა ხარ?... მათხვარი ხარ? — ჰკითხა გიგომ...  
სახიდან ოშეივარი ასდიოდა და ცალი ხელით იწმენდავდა  
ოფლს.

— დიახ, მათხვარი ვარ!... მშიან... მომეცი რამე, ჩემო  
კრგო ბატონო! — გაიმეორა გოგომ.

გიგომ ცნობის მოყვარეობით აათვალიერ-ჩაათვალიერა  
იგი. გოგო პაწაწინა იყო, გამხდარი, ღამჭენარი, მზე-მოკა-  
დებული.

— შენ პური გინდა? ჰა, თქვი, გინდა? — ჰკითხა გიგომ და  
ქვას მაგრა ხელი მოუჭირა, — მოიტა ხელი!..

გულ-უბრყვილო გოგომ თავისი პაწაწინა, გამხდარი ხე-  
ლი გაუშეირა.

— აჲა, აიღე! — წასძახა ცელქმა და ხელში ქვა ჩაუდო.

გოგომ ქვა არ გადააგდო და არც არაფერი უთხრა...  
მხოლოთ ცრემლიანი თვალით შექხდა გიგოს, ჩაჰკიდა თავი  
და გაუდგა მტვრიან გზასა...

გიგო დაღონდა... მისმა წითლათ გადაუღაუებულმა ლო-  
ყებმა ფერი იცვალეს. იგი საჩქაროთ შევარდა სამზარეულოში,  
აიღო პურის ნატეხი და გავარდა გარეთ... მარჯვნივ მიიხედა,  
მიიხედა მარცხნივ, გოგო — ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ — არ  
სადღა მოსახანს... გიგო დაადგა გზას, გადაუხვია მინდვრისა-  
კენ, არა, არსად მოსახანს, მისი კვალი ყველგან დაკარგულია.

გიგო ამ სირბილში ძალიან მოიღალა და შესდგა სულის  
მოსაბრუნებლათ.

— წავიდა! ... მე ვეღარ დავეწევი მას! ... დაღალულ-და-ქანცული შევიდა ეზოში და პურის ნაჭრით ხელში ბოძს მიეყუდა... მის სახეს სიხარული არ ეკარებოდა... იდგა უძრავათ და მისი თვალები ისევ მინდვრისკენ იხედებოდნენ... გიგო სულ იმის ფიქრშია, როგორმე თვალი მოჰკრას იმ საცოდავ გოგოს, მაგრამ იგი აღარსად მოსჩანს. — „რა პაწაწინა იყო, გამხდარ-დამდნარი!“ — ფიქრობს გიგო... საცოდავი, მოწყალებასა მთხოვ-და... იქნება შიოდა კიდეც!“ თვალები მოელრუბლა და ცრემლ-მა დენა დაუწყო.

მოუყვანეთ მას ის ქალიშვილი! მოუყვანეთ მას ის მათხოვარი! იგი მას მისცემს პურს, გამოუტანს ფუნთუშს \*), აჩუქებს ვერცხლის ფულს, მისცემს ყველა თავის სათამა შოებს, მისცემს ყველაფერს, რაც კი რამ მოეპოება! მაგრამ ქალიშვილი არსად მოჩანს. ტირის გიგო, ცრემლით ასველებს პურის ნატებს.

— რატომ ქვა არ გადააგდო? რატომ არაფერი არ მითხრა? რატომ თავში არა მღრუზა ის ქვა? რატომ არ გამლანდა? მათხოვარმა მხოლოდ დაპერდა ქვას, ცრემლიანი თვალით შემომხედა მე და ისე გაუდგა გზას!

ყოველ დღე გიგო გარეთ გადიოდა, იხედებოდა მინდვრისკენ, იხედებოდა მტვრიან გზისაკენ... ქალიშვილი კი არსად არის, აღარსად მოჩანს.

გავიდა დრო... მის სახლის ახლო გივლილნენ მათხოვრები, დავრდომილნი ბერი-კაცები და დედაბრები, გივლილნენ თავიანთი დედებით პაწაწინა მათხოვრებიც, მაგრამ იმ პაწაწინა ქალიშვილს-კი თვალი ვეღარ მოჰკრა გიგომ.

და ის იყო და ის—გიგოს პურის მაგიერ ქვა არავისთვის არ გაუწვდენია.

### ჩემი ძმის წერილი.

„ამას წინეთ შენმა მასწავლებელმა ძალიან გამახარა, როდესაც შემატებინა, რომ შენ კარგათა სწავლობ და კარგათაც იქცევი. კარგი საქმეა, ჩემო კარგო, კლასში რიგიანათ ჯდომა, შეთვისება იმისი, რასაც გასწავლიან; კარგი საქციელია, როდესაც მასწავლებლებს არ აჯავრებ, არ აჯავრებ იმ

\*) ფუნთუში—რუსები რომ „ბულგას“ ეძარიან.

ჰასწავლებლებს, რომელნიც ნათელსა ჰქონენ შენს გარეშემო, იტანჯებიან თქვენთვის, ღელავენ, სულსა და გულს ითანალ-რებენ, ვაი-ვაგლახობენ, რომ თქვენ კარგი კაცები გამოხვიდეთ და უდროოთ მიემზავრებიან იქ, ხაიდანაც აღარავინ ბრუნ-დება! ეს კარგი საცეკველია, კაი მხარეა შენი მომავალისათვის, მაგრამ უფრო კარგი ყოფაქცევა იქნება, რომ შენი კარგი ბი-ჭიბა გარეთაც გამოიჩინო! შენ ცალ-ხელა შარმაზანმა დაგიძა-ხა და იუკადრისე იგი, არ მიხვედი მასთან, არ დაელაპარაკე, არ ანუგეშე და ტანჯვა უფრო გაუძლიერე. მაშინ კარგი იყო შარმაზანი, როდესაც სიღარიბეში ჩავარდნილს დღედა შენს თავს ევლებოდა? მაშინ კარგი იყო შარმაზანი, როდესაც მინ-დეგრიდან დაბრუნებული, დაღალული, დაქან ცული ბევრს ჩას-მე მოგიტანდა ხოლმე და თავის შვილებს კი აკლებდა? მაშინ კარგი იყო იგი, როდესაც თავისი ურმით ქალაქში ჩამოგი-ყვანა, როდესაც ქალაქის ჭრაზე სცემეს, უკვნესეს გული, მაგრამ შენ უნუგეშოთ არ დაგტოვა, თავისი ნაცემი ჯანით წამოგიკიდა, გულ-შეღონებული წაგიყვანა, დაგაბინავა საავათ-მყოფოში და ყოველ-დღე მოდიოდა შენს სანახავათ, შენ სა-კითხავათ, შენი გულისთვის დასტოვა თავისი ცოლ-შვილი და ვინემ შენ არ მორჩი, მინემ ფეხი არ მოიცვალა, და კიდევ რამდენი რამ ჩამოგითვალო, ჩემო კარგო? ვინც სიკეთეს არა ჭედავს, იმას ბენება კარგს არ მიაქარებს!.. ეს არ არის კარგი სა-ქციელი და, თუ ყველა ამას გაგონებ, ეს იმისთვის, რომ მე მსურს ყველაფერი გაგაგონო ეხლავე, ჩაგაფიქრო, გაგახარო კიდეც და ბოლმითაც აგიმსო გული რომ ქვეყნის ამბავი წინ გაგიშალო!... არ დაგიმალავ — შენ საბრძოლველათ ემზადები და ცხოვრებასთან ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვინც უკეთესათ მომზადებულია... აქ თოვი და ხმალი არ გამოგადგება. შენი სმალი — მასხვილი — შენი გონება უნდა იეკეს, შენი თოფი — შენი გო-ნების გამჭრიასთან და გულის სითაქმება! დაიარალდი ამ იარალით და გარწმუნებ — ყოველ უაშს შენ გამარჯვებული იქნები და ეკლიან გზას ისა და ვარდიან გზათ შესცვლი. კაი კაცობის მაგალითებს ბევრს შეპხვდები ცხოვრებაში და ეს მაგალითები გაითვალწინე ყოველ-უაშს ჩემო კარგო! პირველი შენი მაგა-ლითი — შენი უფროსია — ეს სათნოიანი, დიდ-ბუნებოვანი კა-ცი!.. ხომ გახსოვს, რა ჰქნა, რომ შენი საქციელი დაეფარა? მან



არ იუკადრისა ჩვენი კარგი შარმაზანი და თავისთან წაიყვანან, არ იუკადრისა ქუჩაში მოსიარულე გოგო-ბიჭები და ანუგეშა ესენიც; სადილი გაუმართა, მოწყალება მისცა, შარმაზანის პატარა ვანო სკოლაში მიიღო თავისი ხარჯზედ, გაუთბო ცხოვრების ქარიშხალით გაციებული გული და ისე გაისტუმრა. ხომ გახსოვს, რა გახარებული იყო ამ სანახაობით, ოდესლაც თქვენგან ათვალიშუნებული ვასილ პეტროვიჩი? როგორ მხიარულებდა, რანაირათ ეთამაშებოდა მათხოვარ — გოგო-ბიჭებს!.. დაიხსომე ყველა ეს, ჩემო კარგო, და ეცალე აღარავის ათქმევინო ის, რაც შენს შესახებ ნათლიმამა შარმაზანმა სოქვა ეკვლესის კარებთან: — „ეს ბიჭი ჩემს კალთაში გაიზარდა და ახლავი, ყურიობთ, იუკადრისა ბმის გაცემა .. ოჯ, სად არის, ღმერთო, შენი სამართალი?“... ამ სიტყვებმა დამწვა და დამდაგა, სისხლი ამიმღვრია და ახლა შენ იცი — ამ საქციელს შენი კაი ბიჭობით როგორც გააქარწყლებ და ჩემს წყრობს სიხარულათ გადამიქცევ. რომ არ მიყვარდე, ამას არ მოგწერდი და ამბის გამეორებით არ აგაღელვებდი! გაკოცებ, ჩემო კარგო, და ველი შენი კარგი ამბების გაგონებას.

შენი იასონი.

**ალ. ნინო აძე.**



# თამარ მეფე.



ნახე სიზმარი:

მეფე თამარი

კვლავ ჩვენ სამშობლოს მოვლინებოდა;  
 თვით პირი-მზისას,  
 სხივთ კონა მზისა  
 ბროლ-ფიქალ მეტად ეფინებოდა!  
 სცემდა ბრძანებას...  
 მის სურვილ-ნებას  
 ზღვა თუ ხმელეთი,—ყველა მონებდა;  
 კაცი და ქალი,  
 მონა, მაშვრალი—  
 ყველა ერთ-გვარად გაუგონებდა!  
 ეს საქართველო,  
 ზურმუხტი მდელო,  
 ნაზად ჰყვაოდა, იფურჩქებოდა;  
 ტურფა ედემსა,  
 შვების მომცემსა  
 საძოთხეს ედარებოდა!  
 ვერას აკლებდა,  
 მუსრის ვერ ავლებდა  
 შინაური, თუ გარეშე მტერი!  
 მეფობდა: ძმობა,  
 მჭიდრო ერთობა  
 და ნეტარებდა, ლხინობდა ერი!  
 მაგრამ სიზმარი,—  
 ეგზომ ნეტარი,  
 განქრა და დავრჩი გაოცებული;  
 ალარც თამარი,—  
 ნაზი, ნარნარი,  
 ალარც ერთობა—ძმობა ქებული!

**ლადო გეგეჭერი.**



## შირვან-ზადე სომხების მწერალი.

(ალექსანდრე შოსესიანი).



ირვან-ზადე სომხების მწერალი. დაიბადა ქალაქ შემახაში 1858 წელს 7 აპრილს. პირველათ რუსულად დაიწყო წერა, მაგრამ შემდეგ 1879 წლიდან სომხურად წერას მიჰყო ხელი. წერდა კორესპონდენციებს, შემდეგ მოთხრობების წერაც დაიწყო; პირველი მისი მოთხოვები: „ცეცხლი ნავთის ქარხანაში“ და „ნოქრის დღიური“ 1884 წელს დაიბეჭდა. ამ მოთხრობებმა საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს და აფტორისაც მწერლის სახელი მოუხვეჭეს. ამის შემდეგ შირვან-ზადემ მრავალი მოთხრობა, რომანი და დრამა დასწერა, რითაც დიდათ გაამდიდრა ჩვენი მეზობელი ერის ლიტერატურა.

ოცდა ორ მაისს დანიშნული იყო მისი ოცდა ათი წლის სამწერლო სარბიელზე მოღვაწეობის იუბილეი. ერმა მას ამაგი არ დაუკარგა და შესაფერის პატივისცემით მოიგონა ამ დღეს გამართულ იუბილეიზე მისი ნამოღვაწევი ლიტერატურის დარგში.

# ჯეპი

ცეცხლის შარობაელი რაზმის ძაღლი.



VI.

ატონ ლელველმა ბრძის დედის ძებნა დაიწყო. იმის მოძებნას ამ უშველებელ ქალაქში, სადაც ურიცხვი სავადმყოფოები და თავშესაფარები იყო, დღიდი ხანი მოუნდებოდა. ამას გარდა საცოდავი ქალი, როგორც ეტყობოდა, გრძნობა დაკარგული იყო, როდესაც წაიყვანეს. იქნება თავის სახელის და გვარის თქმა ვერც კი მოახერხა. აი, ამიტომ ლელველს აქნობამდის ვერ შეუტყვია ბილლის დედა სად არის და ცოცხალია თუ არა!

იმან რჩევა ჰკითხა მყურნალს, შეიძლება თუ არა ბილლის თვალების ახელა. ექიმმა სთქვა; — შეიძლება, მაგრამ ძნელი ოპერაცია დასჭირდებაო. ბილლის რომ ასეთი ძნელი ოპერაცია აეტანა, საჭირო იყო დონე მოეკრიფა და გამაგრებულიყო, ამიტომ ცეცხლის მქრობელ რაზმთან მით დატოვება შეუძლებელი იყო. ქალის მოვლა სჭიროდა ბილლის, უნდა ებანებინათ, რიგინათ ჩაეცვათ და ნოკიერი საჭმელი ეჭმიათ.

იმავე ქალაქში სამას მამის გამდელი სცხოვრობდა. სამას ნათესავებს ეს დედაკაცი ძალიან უყვარდათ და პატივსა სცემს ღნენ. ისიც მზათ იყო დაემტკაცებინა, რომ ამათ ყურადღებას აფასებს; ამიტომ ყოველ მათ სურვილს ასრულებდა. ქვრივი იყო. ერთ პატარა სუფთა სახლში, ცეცხლის მქრობელ რაზმის სახლთან ახლოს, სცხოვრობდა. ლელველმა ოპერაციამდის ბილლის დაბინავება ამ ქალთან გადასწყვიტა.

როდესაც ბილლის ეს ამბავი გამოუცხადეს, ძალიან ეწყინა. იმას იწუხებდა ის აზრი, რომ თავის საუკეთესო მეგობრებს და ჯეკს უნდა მოშორდეს. მაგრამ როდესაც აუხსნეს, რომ ის ხშირად მათ ინახულებს, ცოტათი დამშვიდდა.

— აბა, წარმოიდგინე ბილლი, ცისფერ ცას დაინახავ, შენი მეგობრების სახეს ნახავ, — ეუბნებოდა ლელველი, — შენს

მხსნელ ჯეკსაც შეხედავ. ჩვენ კი ამ დროს განმავლობაში ვეცდებით, რომ დედა შენი მოვძებნოთ, იმასაც თვალით დაინახავ, რა ბედნიერება! ბილლი კი, რაც თავისი თავი ახსოვს, სულ სხვის თვალებით სარგებლობდა: ვერც კი წარმოიდგინა ის ბედნიერება და სიამოვნება, როდესაც თვალი აეხილებოდა. უთუოდ ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ყველანი ასე სცდილობენ და ებრალებათ, რომ ბრძანა.

ერთ დილას სამა და პაპა ეტლით მოვიღნენ, რომ ბილული ახალ სადგომზე წაიყვანონ. კარგია, რომ ბილლი ბრძანი იყო და რიორდანეს ვერა ხედავდა. როდესაც ის უკანასკნელათ ტანთ აცმევდა, რიორდანი ისე შეწუხებული იყო, რომ თვალებიდამ ცრემლი გადმოსდიოდა და ცდილობდა, რომ ამხანაგებს არ დაენახათ. მართალია, თუმცა ბილლი თავის მეგობრის სახეს ვერა ხედავდა, მაგრამ გრძნობდა იმის ხმაში, მიხვრა-მოხვრაში და როდესაც ერთი წვეთი ცრემლი ხელზე დაეცა, ბილლიმ თავი ვეღარ შეიმაგრა და ატირდა. სამა ხან ერთს და ხან მეორეს შესცემოდა; იმისი ბედნიერი და მხიარული სახე მოიღუშა და თვალები აევსო... ბოლოს წამოიყვირა.

— არ მესმის, რა გატირებთ? ბილლის ხომ თვალები აეხილება!

— მართალი ხარ, ჩემო კეთილო, — უთხრა პაპამ, — აქ სატირალი არა არის რა. იქ ბილლი კარგად იქნება. ღმერთი შეეწევა. ყველაფერს თავის თვალით დაინახავს. როდესაც დედასაც უპოვნით, მაშინ ხომ ყველაფერი მშვენივრათ მოეწყობა.

ჯეკი დაკვირვებით ხან ერთს და ხან მეორეს შესცემოდა და სწუხდა. იმას არ იამებოდა ხოლმე, როდესაც ვინმე უბედური იყო; ისა ცდილობდა ხან ერთთან მისულიყო და თავი კალთაში ჩაედო, ან ხელები აელოკა და ხან მეორესთან. თითქოს ემუდარებოდა დამშვიდებულიყვნენ, რადგან ყველაფერი ბილლის სასარგებლოთააო.

— ჯეკიც ნაღვლობს, — სთქვა რიორდანემ, — კმარა, დავწყნარდეთ! ხომ მარჯვეთა ხარ, ბილლი? ხომ არა გცივა?

— არა... არა, — ქვითინებდა ბილლი.

— ნუ სწუხარ! ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი კარგათ გაივლის!

რომარდანემ ბავშვი ხელში აიყვანა და ძირს ეტლში ჩასვა.

— მშვიდობით, ჩვენო კარგო, — ყვიროლნენ სხვა ცეცხლის მქრობელები, — არ დაგვივიწყო, ხშირად ვგნახე ხოლმე! ცხენები დაინძრნენ და ეტლი სიჩქარით გაექანა. ბილ-ლი ხელს უქნევდა და მშვიდობითო — უყვიროლდა, სანამ იმა-თი ხმა არ შესწყდა.

ბილლი ეტლის ჩქარმა მოძრაობამ და იმან, რომ თო-ვლი სახეში აყრილა, მალე გაამხიარულა.

— საწყალი ბავშვი! — იძახდა რომარდანი, როდესაც ეტ-ლი დაინძრა, — არ მეგონა, თუ ასე ძალიან მივეჩეოდი და ასე გამიძნელდებოდა მოშორება.

ჯეკი დიდ ხანს კუდ დაშვებული იდგა და ნაღვლიანად ეტლს შეჰყურებდა. ბოლოს მობრუნდა და მანქანას ახლო მოუწვა. ცხვირი წინა თათებში ჩაპყო, წინ იცეირებოდა და ფიქრობდა, თუ რა კარგად ატარებდა დროს ბილლისთან.

უცბად ცეცხლის ნიშნის ზარები დაირგვა, ჯეკი ზეზე წამოვარდა. ერთ თვალის დახამხამებაზე ცეცხლის მქრობელები თავ-თავიანთ ადგილას იყვნენ. ამ ფაცი-ფუცში ბილლი დაავი-წყდათ და თავიანთ საქმეზე ფიქრობდნენ. მანქანა გამოიტანეს, ცხენები ქარივით გაექანენ, ჯეკი ყველაზე წინ მირბოდა და ყველას ანიშნებდა, რომ ჩამოსცლოდნენ.

ამ ჯერობაზე ძალიან ძნელი გასაქრობი ცეცხლი იყო. ძალიან მაღალი შენობა შეხვდათ, ზერეულათ აშენებული. რო-დესაც მქრობელები მოვიდნენ, ცეცხლი ქვემო სართულებიდან მოჩანდა. კიბე მიიღეს და მქრობელები სახურავზე მიდიოდ-ნენ, ჯეკი შეჰყურებდა და ნერა წკმუოდა, მაგრამ იმათ თან არ წაიყვანეს, რადგან ერთობ მაღალი კიბე იყო.

ჯეკი თავის თავს მიტოვებულათ გრძნობდა და სწყინდა. ის ყოველთვის თავის ამხანაგებთან ერთად იყო ხოლმე და ეხლა კი შიატოვეს. უიშისოთ რას გააკეთებენ? რა დაემართებათ? ეს აზრი ჯეკს ძალიან აღელვებდა.

უცბათ ჯეკს მოაგონდა, რომ მეორე მეზობელი სახლიც ისეთივე მაღალია. ჯეკმა იცოდა, რომ როდესაც ცეცხლ მო-დებულ სახლის სახურავზე ასვლა ძნელი იყო, მქრობელები მე-

ორე სახლის სახურავზე ადიოდნენ. ჯეკი სახლის კარებთან გაჩერდა, ეს სასტუმრო სახლი იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ კარები გაიღო და ვიღაც კაცი გამოვიდა, ჯეკი სახლში შე-ვარდა და კიბეზე მირბოდა.

სასტუმროში არეულობის გამო ვერც კი შეამჩნიეს, რომ კიბეზე და დერეფანში ვიღაც უქნო ძალი დარბის. ბოლოს ზემო სართულამდინ მიაღწია. მქრობელები ამ სახლის სახუ-რავზე იყვნენ და წყალს ასხამდნენ, რომ ამასაც ცეცხლი არ გასწენოდა. ჯეკი სახურავის ფანჯარაში აძვრა და სახურავზე თავის ამხანაგებთან გაჩნდა. რიორდანი მოსძებნა და იმის გვერ-დით დადგა. იცოდა, რომ რიორდანის იმის დანახვა იამებოდა.

მქრობელები დიდხანს მუშაობდნენ, სიცხისაგან და ბო-ლისაგან სული უგუბდებოდათ; არც ჯეკს ემართებოდა კარგი საქმე, მაგრამ თავის ამხანაგებს მაინც არ შორდებოდა.

ბოლოს მქრობელებმა თავიანთი მუშაობა გაათავეს და ძირს ჩამოვიდნენ. ჯეკიც, საიდამაც ავიდა, იმავე გზით უკან დაბრუნდა. როცა გარეთ გამოვიდა, ამხანაგები წასასვლელათ ემზადებოდნენ. დასველებულები, დაღალულები, ბოლით შე-ჭვარტლულები მანქანის ერდოზე ჩამოსხდნენ და სახლისაკენ გასწიეს, ჯეკიც თან გაჰყა თავ ჩაღუნული და ფიქრობდა.

— ეხლა ალერსიანი სიტყვებით არავინ არ დამხვდება სახლში;

— გამარჯობა, ჩემო კარგო, მამაც ჯეკო! რა მიხარიან, რომ დაბრუნდი! — გათუთხნული და დაღალული ჯეკი სახლ-ში დაბრუნდა. იმის ალერსი და თანაგრძნობა ენატრებოდა და ამის მაგიერ კარებში მისი უწინდელი შეგობარი და ეხლანდე-ლი მტერი ბოკსერი შეხვდა. ძალით თეთრი იყო, ყოველთვის სუთათ ბრწყინავდა, იმიტომ რომ კვირაში ერთხელ მაინც აბანებდნენ. ბოკსერს ბანაობა ძალიან ეჯავრებოდა, იმიტომ რომ კარბოლის საპნით მთელ ტანს აუქაფამდნენ ხოლმე. მარ-ტო ამ კარბოლის მოვონებაზე ათროთოლდებოდა. თანაც თვა-ლებში ქაფიან წყალს შეასხამდნენ.

ამ გვარ აბანოს ყოველ ორშაბათს, როდესაც სახლს ასუფთავებდნენ ხოლმე, — უმართავდნენ, მაგრამ ბოკსერი ყო-ველთვის სახლიდან გაქცევას ცდილობდა.

აი, დღეს სწორედ ორშაბათია და ბოკსერიც ბანაობას  
გამოჰქმევია; საწყალი ბოკსერის ქურქი, — ქუქუიანი ბალანი,  
აბურძგნული და თვალთანაც ჩაღაც ჭრილობა აქვს.

— ჰო, უთუოდ ვისმეს წაეჩხუბა! — გაიფიქრა ჯეკმა.

## VII.

როგორც კი ბოკსერმა ჯეკი შენიშნა, უცბად შეიცვალა.  
კული აბზიკა, წელზე ბალანი აებურძგნა, ფეხის თითებზე სია-  
რული დაიწყო, თითქოს ძირს დამტვრეული მინა უფენია და  
ეშინიან ფეხები არ გაიკაწროსო. თვალები სიბრაზით აევსო,  
აგერ-აგერ გადმოსცვივდებოდა. ბეჭი აილოკა, თითქოს უნ-  
დოდა, რომ უფრო მაღალი გამოჩენილიყო და ჯეკს ზემოდან  
დაჰყურებდა, ვითომ ჯერ არ ენახოს.

— რა სისულელეა აგრე თავის მოწონება, — ფიქრობდა  
ჯეკი. მერე ბილლის მოგონებამ დაანალვლიანა და გული მო-  
ურბილა. ჯეკმა ცოტა მოიცადა, მაგრამ მისი ძველი მეგო-  
ბარი არ მოუახლოვდა.

— გამარჯობა, ბოკსერ! — უთხრა მან ალერსით.

ბოკსერმა პასუხი არც კი აკაღრა.

— ძველი მეგობრები ასე არ უნდა შეხვდენ ერთმან-  
ერთს, — სთქვა ჯეკმა, — სიცოცხლე ისეც მოკლეა, ჩვენ კიდევ  
ვჩეუბობთ. მოდი, მეწვიე დღეს სადილთ უკან. მე მშვენიერი  
და გემრიელი ძვლები მაქვს მომზადებული. მიწაში მაქვს ჩაფ-  
ლული, კარგი იქნება, ერთად დაცხრათ, მოდი, ძვლებში გა-  
ვერთოთ და ჩვენ კარგ წარსულ მეგობრობაზე ვიბაასოთ.

ბოკსერი ჯეკს გარს უვლიდა და ცალი თვალით შეჰყუ-  
რებდა. ეტყობოდა მიზეზს ეძებდა დასტაკებოდა, მაგრამ ჯეკი  
ჩხუბის გუნებაზე არ იყო და შემდეგ უთხრა:

— იცი, ბოკსერ, ძველი მეგობარი ორს ახალს სჯობია; —  
მე ძალიან მეწყინება ძველი მეგობრის დაკარგვა!

ბოკსერი გარს აღარ უვლიდა, შესდგა, თითქოს ყელში  
რაღაც გაეჩარა და გადაყლაპვას სცდილობს. აბურძგნილი ბა-  
ლანი დაუცხრა, კულიც ჩამოეშვა. კველა ეს იმის ნიშანი იყო,  
რომ ძალლი ჩხუბის აღარ აპირებდა.

— მე პირველათ ჩხუბი არასოდეს არ დამიწყვია, — წილ-  
ბუტბუტა ბოლოს ბოკსერმა.

— მზათა ვარ ბოდიში მოვიხადო, — უპასუხა გახარებულ-  
მა ჯეკიმ, რომელმაც იყოდა, რომ ბულდოგები\*) ძალიან ავე-  
ბი არიან და ასე აღვილათ არ დაწყნარდებიან. — მე ბევრი რა-  
მა მაქვს სათქმელი!

— კარგი, თუ დრო მექნება, შემოვიცლი, — უპასუხა ბოკ-სერმა. ბოკსერი აღარ იღრინებოდა და თავისი ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობდა.

— მშვიდობით, — უთხრა ჯეკმა და ბოკსერს მხიარულათ გამოესალმა.

აბა, ენდა მივხედოთ ჩვენ ბრძას, ის რაღას აკეთებს? ცოტა ხანს უკან ეტლმა ვიწრო ქუჩაში შეუხვია და ერთ პატარა სუფთა სახლთან. გაჩერდა. მარტო შესავალი კიბე ამ-ტკიცებდა, რომ მთელ სახლში სისუფთავე სუფვერა. სასადილო ოთახში გაკრიიალებულ სარქმელებზე ყვავილები ელიაგა და შეუში, მათთულის გალიაში, იადონი იჯდა და ისე ხმა მაღლა და მშვენივრაუ გალობდა, რომ შესავალ კარებშიც-კი ისმოდა.

გარეთა კარები ორივე ლია იყო, თითქოს მომსვლელებს სალაში აძლევდა და ეუბნებოდა:—კეთილი იყოს თქვენი აქ მობრძანება. კარებში ერთი მსუქანი, ჭალარა, ალექსიანალ მოლიმარი დედაკაცი იდგა.

— აი, ახალი ვაჟი მოგიყვანეთ, ქალბატონო განლონ, — უთხრა ლელეველმა, — იმედია მოგეწონება!

— რასაკვირველია! — უპასუხა ქალბატონო განლონშა კუთილის ღიმილით და ოლერსიანათ, რომელიც ასე უხდებოდა იმის სახეს. როდესაც ბავშვის მოწყებილ და გამხდარ სახეს შეხედა, გაიფიქრა თავისთვის: —ოჲ, შე საკოდავო კარგო ბავშვო!

— ეცადეთ ესეც ისე გაასუქოთ, როგორც სამა, — უთხრა  
ლედველმა. — თუ თქვენ ვერ მოახერხებთ, მაშინ აღარ ვიცი,  
ვიღას აშენდლება!

— ნუ შესწუხდებით, ბატონი, ვეცდები და ყოველ ღონეს ვიხმარ, — უპასუხა კეთილმა ქალმა. — ჰო, მართლა, ამ სიცივეში რათა დეგხართ გარეთ, სახლში შემობრძანდით, აა, ფახეთ რა მშვენიერი ოთახი მოუმზადე ჩემს ახალ მდგმურს.

<sup>\*)</sup> ბულდოგები—ერთგვარი ტალღები არიან.

მე მზიანი ოთახი ამოურჩიე, რადგან თქვენა ბრძანეთ, რომ ბევრი მზე სჭირია და ყველაფერი რაც გამოგეგზავნათ შიგ დავალაგე, ასე რომ საუკეთესო ოთახათ შეიქნა.

იმან სტუმრები ზემო სართულში აიყვანა და ბილლის ხელი მაგრა ეჭირა. ბილლიმ იმის სასიამოვნო ხმა რომ გაიგო და ნაზი ხელი იგრძნო, მაშინათვე დარწმუნდა, რომ საიმედო აღამიანთან იმყოფებოდა. ბოლოს ქალბ. განლონმა იმ ოთახის კარები გააღო, საცა ბილლი უნდა დაებინავებინა. სამაცკი, რომელიც მდიდრულათ მოწყობილ სახლს შე ჩვეული იყო, აღტაცებაში მოვიდა.

— ომ, ბილლი,— წამოიყვირა მან, — შენ ვერ წარმოიდგენ, რა მშვენიერი, რა კარგი, თეთრი საწოლია, თეთრი მაგიდა, თეთრი სკამები, სარკმელი, მშვენიერი თეთრი ფარდები ვარდის ფერი ლენტებით, მშვენიერი ყვავილები და ლამაზი სურათები კედლებზე.

— აი, შენი ოთახი, ბილლი, უთხრა ლელველმა, — ღმერთმა ჰქნას, რომ ბედნიერი იყო და ცოტა ხანს უკან შენ თითონ ნახავ, თუ ყველაფერი, როგორ კარგად არის მოწყობილი.

— ჰო, ჰო, — ადელვდა სამა, — შობამდინ ხომ მარტო რამდენიმე დღელაა დარჩენილი და მე სულ მარტო ამაზე ვლოცულობ!

— შეიძლება, შენი თხოვნა ესე მალე არ შესრულდეს, — სთქვა პაპამ.

— როგორ? — განცვიფრებით ჰქითხა სამამ. — არა, უთუოდ ამისრულდება შობას, შენ თითონ იცი, რომ ეს ჩემი საშობაო საჩუქარია.

— ახლა, — სთქვა ლელველმა, — რაკი ვნახეთ, რომ ბილლი კარგათ არის დაბინავებული, სახლში წავიდეთ. დიდედას ეგონება, რომ დავიკარგენით, საუზმისათვისაც სახლში ვერ მიგალთ.

— განა? — სთქვა სამამ, — იქნება ის ისე არ შესწუხდეს?

პაპამ სამას შეხედა და იგრძნო, რომ ამას რაღაც ჰაზრი აქვს და იმაზე ფიქრობს და სახლში დაბრუნება ეზარება.

— შენ, სამა, რაღაცას აპირებ! — უთხრა მან.

— მე მგონია, პაპა, რომ ბილლის უცხო სახლში მაყ-

ტოკა დარჩენა მოსწყინდება,—თქვა მან.—შეიძლება დღეს შე ამასთან ერთად ვისაუზმო. სამა ბილლისთან დარჩა და არ ვიცი, როგორი ამათგანი უფრო ბეღნიერი იყო.



სამას თავის დღეში არსად ამოდენა ალერსი არ უნახავს, როგორც ამ სახლში. ქალბ-განლონი ყოველთვის იმისთანა საჭმელებს უმზადებდა, რომელიც სამას ძალიან უყვარდა; მერე მშვენიერ ამბებს უმ-ბობდა.

ყველაზე უფრო საყურად-ლებო და საინტერესო იყო ის ამბავი, რომელიც მამა მის შე-ეხებოდა, როდესაც ის პატარა იყო.

— ოჯ, რა მომწონს,— თქვა სამამ, როდესაც პატარა სასა-დილო ოთახში, სუფთა სუფრა გადაფარებულ მაგიდას მოუჯ-და,— ნეტაი ჩვენსაც ასე გემ-რიელათ აკეთებდენ საჭმელ!

— რას ამბობ, ჩემო საყვარელო,— ეუბნებოდა სამას ქე-ბით კმაყოფილი მოხუცი,— განა ჩემი საუზმე თქვენ საუზმეს შეედარება?

— რასაკვირველია, არა, თქვენი ბევრათა სჯობია!

— ეგ, ყოველთვის, ეგრეა,— უპასუხა განლონმა,— სახლ-ში მოგბეზრდებათ ხოლმე და სტუმრათ ყველაფერი კარგი გეჩვენებათ.

ყველაზე უფრო სამას ის მოსწონდა, რომ თითონვე გა-დიღებდა ხოლმე საჭმელს, თითონვე სჭრიდა, ერთი სიტყვით ისე იქცეოდა, როგორც დიდი. მართალია, ხშირად მარტი დაემართებოდა ხოლმე სამას, რადგან დანას ჯერ კიდევ მარჯ-ვეთ ვერა ხმარობდა, თუფშიდამ ნაკერი ხორცი სუფთა სუფ-რაზე გაღმოუვარდებოდა და გასვრიდა. მოხუცი-კი სიამოვნე-ბით იღიმებოდა.

საწყალი ბილლი-კი უცდიდა, სანამ საჭმელს არ მოუმ-ზადებდნენ; ისიც მაღიანათ და სიამოვნებით მიირთმევდა და ძალიან გემრიელათ ეჩვენებოდა.

საღილზე ბავშვები ცოტას ლაპარაკობდნენ, რადგან ძალიან შიოდათ. საღილთ-უკან მოხუცებული დედა-კაცი სამზარეულოში ჭურჭლის დასარეცხათ გავიდა, ამხანაგებიც თან გაჰყვნენ და შველოდნენ.

მუშაობის დროს სამამ უამბო, ვისთვის რა საჩუქარს ამზადებს საშობაოთ. მარტო ერთ საჩუქარზე-კი კრინტი არ დასძრა.

— მე მიამბნია შენთვის, სამა, ერთხელ საშობაოთ მამა შენმა რა ჰქნა? — ჰქითხა განლონმა.

— არა, არას დროს, აბა, მიამბე! — ჩააცივდა სამა.

— კარგი, თქვენ ოთახში შედით, მე აქაურობას მივალა-გებ და ეხლავე მოვალ.

ბავშვები ოთახში შევიდნენ და სამამ უამბო ბილლის, თუ რა საჩუქარს უმზადებენ ბებერ გამდელს. სანამ ამას ეტყოდა, ბილლის პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ არ გასცემს და სამამ ჩურჩულით უამბო. მაგრამ ეს ჩურჩული ისეთი იყო, რომ ოთახში მყოფი ცველაფერს გაიგონებდა.

— იცოდე, ბილლი, არა უთხრა რა, თორებ ძალიან მაწყენინებ: ბებიამ ერთი მშვენიერი ხელ-სათბური (მუფთა) უყიდა და მე კი ჩემ მოგროვილ ფულით ერთი კარგი თბილი თავშალი უნდა ვაჩუქო.

მალე ბებერი გამდელიც შემოვიდა, თავის სავარძელში ჩაჯდა, ხელსაქმე აიღო. სამამ დაბალი სკამი ახლოს მოუწია და ბილლი ჩასვა; თითონ პატარა სკამზე ფეხებთან დაუჯდა.

— ერთხელ, — დაიწყო გამდელმა, — როდესაც მამა შენი პატარა იყო, შენ ხე უმცროსი, ერთი პატარა თუჯის სახლი ჰქონდა ზემოდამ საბოლავით და აი, იმ სახლში ნაჩუქარ ფულებს აგროვებდა. იმან გამოგვიცხადა, რომ შობამდის არ გახსნის და ბევრ საჩუქრებს იყიდის ჩემთვის. მე ოქროს საათს თავის ოქროს ძეწვით მაჩუქებს, საჭმლის მხარშველ დედა-კაცს აბრეშუმის კაბას და ოქროს სათვალეებს. ფული რომ ეყოფოდეს, ერთ ეტლს თავის ცხენით უყიდის, რომ ყოველ დღე ბაზარში ეტლით იაროს ხოლმე, რადგან საწყალს სამზარეულოში შეტის დგომით მუხლები სტკივა.

შობის რამდენიმე დღის წინათ სასეირნოთ წავედით და ერთ ტკბილეულობის გადახასთან შივედით. იქ ფერად-ფერად

ყუთებში ჩალაგებული ტკბილეულობა იყო. სარკმლის წინ  
აუარებელი ბავშვები მოგროვილიყვნენ და ლაპარაკობდნენ,  
თუ ვინ რას იყიდდა.

— იჯ, საწყლები, — ესთქი მე და ბავშვებს უყურებდი. —  
ესენი კი საშობაოდ არაფერ საჩუქარს არ მიიღებენ.

— რატომ, განა მაგათ ფული არა აქვთ? — მკითხა მამა  
შენმა.

— საიდამ ექნებათ, — უპასუხე მე, — თუ ვინმე აჩუქებს, თო-  
რემ საიდამ იშოვნიან!

— მაშ, ეგენი ტკბილეულობას არ სჭამენ? საშობაოთ  
არავინ აჩუქებს?

— არა მგონია, — ვეუბნებოდი მე, — ხედავ, რა მხიარული  
და ბედნიერები არიან, თითქოს ტკბილეულობა სწყინდესთ და  
იმიტომ არ აქმევდნენ!

— მე რომ არა მწყინს, — იძახდა მამა შენი.

ის შეწუხებული უყურებდა ბავშვებს და დაფიქრდა.

სახლში დავბრუნდით. ბებია შენმა დამიძახა, რალაც საქ-  
მე ჰქონდა და ავედი. მამა შენი მარტო მივატოვე. იქ ძალი-  
ან ცოტა ხანს დავრჩი და, როდესაც დავბრუნდი, მამა შენი  
იქ აღარ იყო. ჯერ ვიფიქრე, რომ იქნება სამზარეულოში წა-  
ვიდა, მაგრამ იქაც არ იყო. ძალიან შემეშინდა, მთელი სახ-  
ლი შემოვირდინე, ყველასა ვკითხე, არავის არ ენახა. მოსამ-  
სახურე გოგომ სთქვა, რომ ქუჩაში გასავალი კარების გაღება  
გაიგონა და არ იცის, ვინ გავიდა.

მე აქ ბავშვები მომაგონდა, უთუოდ იმათთან თუ წავი-  
და — ვიფიქრე, გარედ გამოვარდი და იქითკენ გავიქეცი. იცი,  
რა ვნახე?

— აბა, რა ვიცი, — სთქვა სამამ. — ჩემო საყვარელო გამ-  
დელო, რა მოხდა? სთქვი მალე.

— კარგი ამბავი... ვხედავ, იქ მამა შენი უქულოთ, უპალ-  
ტოოთ თუჯის სახლათ ხელში სდგას და აუარებელი ბავშვები  
გარს შემოხვევია... ნეტაი, საიდამ მოგროვდნენ? გაულია თა-  
ვისი ყუთი და ფულებს ურიგებს. ერთი რომ მიიღებს, იმის  
ადგილას მეორე მოდის. მამა შენს ბედნიერებით თვალები  
უბრწყინავდა.

రోక్కా డామినాచా, కీమ్క్యేన గాహింపు లా తావిసి ప్రారియ్లి ప్రారియ్లి  
ప్రారియ్లి గామింబెర్త్యా.

— ఒ, గెల్లా ప్రారియ్లాస సాశొబాం సాహ్యారి జీమ్న్ బాత.

— విసాప డాషిర్డాం, ఇసిని బోమ జూసాహ్యార్మంత డార్హీబిం?

ఉత్కారి మ్యా. గాక్విర్వెబ్బుల్లి శేమ్మిథ్యెదా. ఉత్తుండ ఏ అంరి అల్ల్య తావిం అన మంసప్లిండా.

— శేన్, కీమ్మ కూర్గం గామడైయ్లు, మంమాం శొబాందిస బోమ  
శేగింద్లిం మంమిప్రాండ్లి? శేన్ బోమ దిండి బార్? రోక్కా మామా జ్యుల్లి  
మాహ్యేబ్లిస, మాశిన శేన్ప్ర. గింపిండి సాహ్యారిస. అదా చొరిమింపింజ్యో; అమ  
సాప్రాండావ బావ్శ్వెబ్లిస-క్రి జ్యుల్లి అరా క్షోబండాత, రోమ రామ్య  
ఎప్పింబ్యాత.

— భేర్య తాపా గామ్మిప్రా, రోడ్యెసాప సాశెల్మి డాబర్మ్ముండా? —  
క్షోబం సామామ.

— అరా, రాతా! మార్త్రిం గామ్మిఖావర్ముంట్యేన, రోమ డామ్ముంత్కావాత  
సాశెల్లిందామ చొవ్యిండా డా ప్రారియ్లాస శొమ్మి మంప్యోరా; ఉత్కార్జ్యే అలార  
గాంబ్లింస బోల్మయ్!

అమ అమ్మావ్స క్రిండ్యే స్తోవా అమ్మావ్యో మంక్యువా, ఫర్మమ మాల్య గామిన-  
బినా డా సామాస చొసాప్యానాత మంప్యోంట్యేన. బిల్లిం సామాస గామింట-  
బోవా డా ని శొమ్మి డా మ్ముశ్శోర్జ్యోబాస అలారొ గ్రహింబ్లా, రోగమంప  
మాశిన, రోడ్యెసాప అం మంప్లింప్లా.

మ్యా. భేసెబెసా.

(శేమడ్యెగి నీంజ్యేబా)



# როგორ ამზადებენ მინას.



ხშირად გვინახავს ჩვენ როგორ აკეთებენ ბავშვები საპნის ბუშტებს. აი სწორეთ ამ ცვარათვე ბერვის საშვალებით ამზადებენ თითქმის ყველა მინის ნივთებს და მათ შორის მინის ჭურჭლებსაც.

მინის ქარხნებში გამართულია ვეგბერთელა ფეხები, საცა თიხის ჭურჭლებში ცხელდება ერთგვარი ნივთიერება, რომლისაგანაც ამზადებენ მინას. ეს ნივთიერება წარმოადგენს


შერეულ სილას, ნაცარს და ცარცას. ეს ფეხები ისე განურებულია, რომ ჭურჭლებში მოთავსებული ნივთიერება წარმოადგენს მთლად სითხეს, ჩვენ ხელთ არის, რომ ამ სითხეს როგორიც გვინდა ისეთი სახე მივაღებინოთ, ან კიდევ ამ სითხეში ამავალოთ ლულა და გავაკეთოთ ბუშტი ისეთივე, როგორც საპნიან წყლისაგან; ამას გარდა შეიძლება ეს სქელი სითხე ისე გავათხელოთ, როგორც ვათხელებთ ცოშს და შემდეგ მაკრატლით გამოვტრათ მისგან სხვა და სხვა სახეები.

თუ თქვენ როდისმე მოგიხდებათ შუშეულობის ქარხანაში შესვლა, წინ გადაგეშლებათ ამ გვარი სურათი: უზარ-მაზარი ქვით დაფენილი ოთახი, შეუა ოთახში სდგას ვეებერთელა ფეხი, რომელსაც გარშემო ბლომად სანათურები აქვს დაყოლილი, ფეხში სდგას დიდრონი თიხის ქოთნები, რომელშიაც გაცხელებული ნივთიერებაა მოთავსებული. ეს ფეხი ისეთი ცხელია, რომ აღამიანი შორი-ახლო ერთ წამით გაჩერებას ძლივს უძლებს. შიგ ფუსტუსებენ რამდენიმე ათეული მუშა, რომელნიც შეიარაღებულნი არიან რკინის ლულებით; ამ ლულებს ერთი წვერი ხისაგან აქვთ გაკეთებული, იმიტომ რომ მუშას ბერვის დროს ან ხელი, ან ტუჩები არ დაეწვას. ეს მუშები აკეთებენ მინის ბუშტებს.

პირველ შეხედვაზე იქნება გაგეცინოთ კიდევც, რადგან შეიძლება ამათი მუშაობა უფრო ცელქობას წააგავდეს, მაგრამ, რომ დაკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ ესენი ტყუილათ არ დარბიან. მიიჩნენ მუშა ფეხთან, ამიას ვეელებს ლულას გაცხელებულ სითხეში და მაშინვე მოშორდება ფეხს, თან ამ

გლულას ატრიალებს, რომ ამოღებული გაცხელებული სითხე დაში არ დაელვაროს. შემდეგ გააკეთებს ბუშტს, მერე ხან ძაიქნევს, ხან ასწევს, ხან დასწევს: ამასობაში ბუშტი გაგრბელდება და ბოთლის მიემზვავსება. მუშა ამ გაგრძელებულ უშტს ლულიანად ავრორებს ქვის სწორე ტახტზე, რომ ნაპი-

რები უსწორ - მასწორო არ დარჩეს. ამ დროს მეორე მუშა მიეშველება, რკინის ჯოხს ამოავლებს სითხეში და იმით ბუშტის ძირს ძირს შეკავამს, შემდეგ შეუსწორებენ პირს



და ბოთლი თითქმის მზათ არის. ამ მუშაობის დროს ეს ბუშტი ისეთი ცხელია, როგორც ნაღვერდალი. დამზადებულ ბოთლის ნელ-ნელა აცივებენ, ჯერ კიდევ თბილია ბოთლი, როცა ერთ-ერთი მუშა ცივ რკინის ჯოხით წრეს გაავლებს ბოთლის ყელთან, ამის გამო რკინის ლულა, რომელზედაც ბოთლი იყო მიკრული, მოგარდება; ამ რკინის ჯოხითვე ამოიღებს გამდნარ ნივთიერებას და ბოთლის პირს სალტეს მოავლებს. ყველა აქ ჩამოთვლილი ისეთი სისწრაფით კეთდება, რომ 10—15 წამში მუშა რამდენიმე ბოთლს დაამზადებს. ამ გვარად დამზადებულ ბოთლის ბიჭი მიარბეინებს ეხლა სხვა გვარ ფეჩში, რომელშიაც ამ ბოთლს გამოსწვავენ ისევე, როგორც — აგურხანაში აგურს სწვამენ. გამოწვა მინის ჭურქელს იმიტომ სჭირია, რომ მაშინ იგი უფრო გამძლე ხდება. კარგა გამომწვარი ჭიქა, ძირსაც რომ დავახალოთ, არ გატყდება.

ეხლა გიამბობთ, როგორ ამზადებენ ფანჯრების მინებს. იქნება გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ დაჯერებით კი უნდა დაიჯეროთ, რომ ფანჯრის მინებსაც ბერვით ამზადებენ. როგორც ბოთლის კეთების დროს, მუშა რკინის მილით ამოიღებს ხუთ გირვან ჭის ოდენას გაცხელებულ სითხეს; შემდევ ისევ ჩაბერ-



ვით გამოიყვანს ამ სითხიდან მოგრძო, მოზრდილ ბუშტს, ამ ბუშტს ძირს გაუცხელებენ და გაჭვრეტავენ ისე, რომ ამ ბუშტს ეხლა ორი ნაჭვრეტი აქვს: — ერთი ლულის მხრივ და მეორე ძირში. ვიწრო ნაპირებს ორივე მხარეს მოაჭრიან და ეს ბუშტი მაშინ მიეგვანება დიდ პირიან განიერ მიღს. მერე ამ მიღს სიგრძეზე გასჭრიან და შესდებენ გახურებულ ფეხში, რომელშიაც ეს მიღი გაიშლება; როცა ფეხიდან გამოიტანენ, ერთ გვარ უთოვებით აუთოვებენ და გაპტყელებული, გასწორებული, სახმარებლათ მხად არის.

უსათუოდ ბევრს თქვენგანს უნახავს ვეებერთელა მინები მაღაზის ფანჯრებში ჩასმული. ვინ იცის გაიფიქროთ კიდეც, რომ მაგისთანა დიდ მინების მომზადება ბერვით შეუძლებელია? მართალია, დიდ და სქელ მინებს უფრო სხვა ნაირათ ამზადებენ. გაცხელებულ სითხეს დასხამენ ქვით დაფენილ იატაჭე, თანასწორათ გაშლიან, გაათხელებენ, ნაპირებს შემოასწორებენ და აი, ესეც მზად არის.

თითქმის ამ გვარადვე მზადდება ყველა მინის ჭურჭელი. ზოგიერთ ქარხნებში უკეთ არის მოწყობილი შუშეულობის გაკეთება; იქ მუშა კი არ ჰქერავს თითოეულს ბოთლს, ან ჭიქას; იქ ისეთი მანქანა აქვთ, რომლითაც ყუთებში მოგროვილ, შეკუმშულ ჰაერის საშვალებით ჰქერავენ მინის ბუშტებს, ისევე, როგორც მუშა ჰქერავს პირით.

ჩვენში შეგიძლიანთ დაათვალიეროთ დაბა ბორჯომის ბოთლების ქარხანა. აქ, როგორც ზემოთ გიამბეთ, ჰქერავენ მინის ბუშტებს და ამზადებენ იმ ბოთლებს, რომლებითაც ბორჯომის სამკურნალო წყალი იყიდება. წინა წლებში აქ ჭიქებსაც ამზადებდენ, ეხლა კი მხოლოდ ბოთლებს და შუშის ქილებს აკეთებდნ.

ამ ქარხანაში უმეტესათ ბავშვები მუშაობენ... მიტან-მოტანა, წალება, ფეხში შეყრა და გამოტანა, — ეს საქმე სულ ბავშვებს აქვთ დაკისრებული. ქარხანა მე მკათათვეში დავათვალიერე, როცა ძალიან ცხელოდა: შიგ ქარხანაში ისეთი სიცხის ბული იღვა, რომ კაცს სული უგუბდებოდა. მუშებს ოფლი წურწურით ჩამოსდომდათ და წამ-და-უწუმ გამორბოდენ ქარში და იქვე ქარხნის გვერდით, არხით გამოყვანილ წყალში ვარდებოდენ გასაგრილებლათ. ცოტას რომ გაგრილდებოდენ, ისევ შედიოდენ და განაგრძობდენ მუშაობას.

(შემდეგი აქნება)

# ედუარდ ჯენერი.

**ე**წინდელ დროში არც ერთი სატკივარი მთელ ქვე-  
ყანაზე ისე არ დუპავდა ხალხს და არ ამახინჯებდა,  
როგორც ყვავილი. მაშინ ძნელათ იპოვიდით ისეთ  
ბედნიერ კაცს, რომ ყვავილი არ მიჰკარებიყო. ამ ასიოდე წლის  
წინეთ ხუთმეტ კაცში ერთს თუ იპოვიდით, რომელსაც თა-  
ვის სიცოცხლეში არ შეჰყუროდეს ყვავილი. ხოლო ვისაცკი  
ყვავილი შეხვდებოდა ძნელათ-და დაახწევდა ხოლმე თავს. მა-  
შინდელ დროში

აი როგორ იყო:

საღაც ათი კა-  
ცი ყვავილით  
ავათ გახდებო-  
და, იმათში სამი  
კაცი უექველათ  
კვდებოდა, ხო-  
ლო ვინც სიკვ-  
დილს გადარჩე-  
ბოდა, ვაი იმი-  
სთანა გადარჩე-  
ნას, ზოგი დაბ-  
რმავდებოდა  
ხოლმე და მთე-  
ლი თავისი სი-  
ცოცხლე უსინა  
თლოთ რჩებო-  
და, ზოგი ყოუ-  
ვდებოდა, ზოგი

სრულებით უძლიურდებოდა. ხოლო რაც შეეხება ღვთისგან მო-  
ცემულ პირისახეს, თითქმის ყველას ნაყვავილარებით უფლებდე-  
ბოდა. დაკენკილი და ჩოფურა მაშინ ძლიერ ხშირი იყო.

მთელი საუკუნოები გადიოდენ, ხალხი ასე იქლიტებოდა,  
სახიჩარი ხდებოდა და მახინჯდებოდა, ხოლო არ იკოდენ კი  
რითი და როგორ დაეხსნათ თავი ამ საშინელი ჭირისაგან, რო-  
მელსაც ყვავილი ჰქვია, მაგრამ ნათქვამია: „ლმერთი თავის  
გაჩენილს უნგეშოთ არ დატოვებს“ და აქაც გამართლიდ  
ეს ანდაზა. ერთ ინგლისელ ექიმს, გვარათ ჯენერს, ბედ-  
ნიერი აზრი მოუვიდა თავში, ამან ნამდვილი საშუალება და  
უებარი წამალი იპოვა ყვავილის ავათშეუოფობის წინაამდდეგი.



ლიდი ხანია იუოდენ, რომ ყვავილი მარტო ადამიანს კი არა, საქონელსაც შეეყრება ხოლმე. მაგალითათ ცხენს ფეხებზე დააყრის, კევარს მთელ ტანზე აყრის, ძროხას კი მხოლოთ ცურზე გამოაყრის ხოლმე. უწინდელმა ხალხმა ისიც კი შეამჩნია, რომ ძროხიდან ყვავილი ზოგჯერ ადამიანზე გადაღიოდა, მაგრამ ვისაც კი ძროხის ყვავილი შეხვდებოდა, არაფერს არ ავნებდა. როცა ძროხა ყვავილით ხდება ავათ, ხშირათ ძროხის ყვავილი იმ დედაკაცს გადაედება ხოლმე, რომელიც ძროხას ყოველ დღე სწველის. — ხელებზე სწორეთ იმისთანა მუწუკებს აყრის, როგორიც ძროხის ცურის ნაკებზეა გამოყრილი. მაგრამ დედაკაცებს ამ ყვავილისაგან არაფერი ვნება არ ეძლევათ.

ლოქტორი ჯენერი ინგლისის ერთ სოფელში ექიმათ იყო დანიშნული და თავისი თვალით ხედავდა რა გვარ განსაც-დელშიაც ჩავარდებოდა ხოლმე სოფლის ხალხი, როდესაც ყვავილი მთელ სოფლებს მოივლიდა და ხალხს მუსრს ადნენდა. ბევრი იფიქრა ამ პატიოსანმა და ხალხისთვის გულშემატკი-ვარმა კაცმა, ბევრნაირათ მეცნიერულათ მოისაზრა, როგორ უშველოთ ხალხს, როგორ გადავარჩინოთ ხალხი ამ საშინელ ჭირს, ყვავილსაო, და ბოლოს, ღვთის შეწევნით, მართლაც და ნამდვილ გზას დაადგა.

ჯენერი ძლიერ ხშირათ ებაასებოდა ხოლმე გლეხკაცო-ბას ყვავილის შესახებ და მათგან აი რა შეიტყო: „რომელ დედაკაცსაც ავათშოთ ძროხისაგან ყვავილი გადაედება და ხელებზე გამოაყრის, იმ დედაკაცს ადამიანის ნამდვილი ყვა-ვილი აღარ. შეხვდება ხოლმე, თუ გინდ მთელი მისი ოჯახი ყვავილით იყოს ავათო“. ამ გვარათ, ვისაც კი ძროხის ყვავი-ლი გადაედებოდა, ნამდვილათ ბეჭნიძრდებოდა, რაღაც ყვა-ვილისაგან სიკვდილისა აღარ ეშინოდა. ჯენერმა თვალ-ყუ-რი ადევნა ამ საქმეს და ბოლოს დარწმუნდა, რომ გლეხები ნამდვილს ამბობდენ. მაშინ ჯენერმა იფიქრა: თუ ძროხის ყვავილისაგან დედაკაცები თავის დღეში არა კვდებიან და თა-ნაც იმ დედაკაცს, რომელსაც ძროხის ყვავილი უხდია, ნამ-დვილი ყვავილი აღარ ეკარება, მაშასადამე რატომ არ უნდა ვცადოთ? ავილოთ და ძროხის ყვავილი ბავშვებს განგებ შევ-ყაროთ, აუცრაოთ, იქნება ღმერთმა ბრძანოს და ნამდვილმა ყვავილმა ბავშვებსაც ხელი აღარ ახლოს მთელ მათ სიკოცხ-ლეშიონ“. ასე გადაწყვიტა დიდებულმა მეცნიერმა ჯენერმა და როცა იმის სოფელში კვლავ გაჩნდა ყვავილი და ხალხს შეუბრალებლივ ელეტდა, ჯენერმა აიღო ძროხის ცურიდან ყვავილის ჩირქი (წრბოლი) და ბავშვებს გაბედულათ დაუწყო

აცრა. ნებტრით ცოტათი გაუფხაჭნიდა ხოლმე მკლავზე კანს და მერე ძროხის ყვავილის ჩირქს წაუსვამდა — მორჩა და გათავდა. მერე აცრილ ბავშებს ჯენერო ყურს უგდებდა, მკლავს უსინ-ჯავდა: დაატყო რომ ბავშს მკლავზე, აცრილ ადგილზე, რამ-დენსამე დღის შემდეგ ბუშტებს მუწუკებივით გამოაყრიდა, სწორეთ იმისთანებს, როგორიც ძროხას ცურზე ჰქონდა და-ურილი, გაივლიდა ორიოდე კვირა, ბავშებს მუწუკები შეუ-შრებოდა, შემდეგ სრულებით მოურჩებოდა. ამ გვარათ რო-მელ ბავშსაც კი ძროხის ყვავილი აუცრეს, ნამდვილი ყვავი-ლი ახლოს აღარ მიეკარა — გარშემო ხალხი ყვავილით იხოცე-ბოდა, მაგრამ აცრილ ბავშებს კი თავიდან აცდათ, მშვიდო-ბით გადარჩენ.

გაეხარდა ჯენერს, რომ ამისთანა ნამდვილი საშუალება იპოვა ხალხის ჭირისაგან გამოსახსნელით და აღტაცებულმა მთელ ინგლისის დოქტორებს აცნობა. მერე სხვა სახელმწი-ფოებსაც მისწერა თავისი გამოგონილი ხერხი და ყველას აუხ-სნა, როგორ უნდა დაიცვან ხალხი ყვავილისაგან, გადაარჩი-ნონ სიკვდილს და დასახიჩრებას. ყველა ექიმმა სცადა თავის ქვეყანაში ყვავილის აცრა ისე, როგორც ჯენერმა, ასწავლა მათ და ყველგან ნამდვილი მხსნელი აღმოჩნდა კაცობრიობი-სა. ერთი სიტყვით ვისაც კი ძროხის ყვავილი აუცრეს, იმას ნამდვილი ყვავილი აღარ ეკარებოდა.

ამ ჩვენ დროში უცხო სახელმწიფოებში ძნელათ შეხვ-დებით ახლა იმისთანა ბავშს, რომ ყვავილი აცრილი არა ჰქონ-დეს. ამიტომაც ძლიერ იშვიათია, რომ იქ კაცი ყვავილისაგან ჰკვდებოდეს. მეტადრე განათლებულ ქვეყნებში დიდი ყურად-ღებაა მიქცეული იმაზე, რომ ყველა ბავში უეპველათ აცრი-ლი იყოს. მაგალითათ ნემცების სახელმწიფოში, გერმანიაში, ამ 34 წლის წინეთ იმისთანა კანონი გამოიცა, რომლის ძალი-თაც ყველა ბავშისთვის ყვავილი უნდა აეცრათ და ხელმეო-რეთაც მეათე წელიწადზე. მეორეთ აცრა უეპველათ საჭიროა და აი, რატომ: როგორც აღმოჩნდა, ერთი აცრა მხოლოთ რვას ანუ ათ წელიწადს დაიცავს კაცს ყვავილისაგან, და არა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც ნემცებ-მა შემოიღეს ხსენებული კანონი და თავის ბავშებს ორ-ორ-ჯელ დაუწყეს ყვავილის აცრა, ნემცების ქვეყანაში ყვავილი

იშვიათათ-ლა იჩენდა ხოლმე თავს და მერე და მერე კი ყვა-  
ვილის ხსენება სრულებითაც მოისპო. დღეს იქაურმა ხალხმა  
არც კი იცის ყვავილით ავათმყოფობა რასა ჰქვია.

საზოგადოთ რუსეთის სახელმწიფოში ხალხი არც თავის  
თავს და არც ბავშებს ასე არ უფთხილდება. სამწუხაროთ ქარ-  
თველებში დღესაც ძლიერ ბევრ ოჯახს იპოვით, საღაც არც  
ერთ ბავშს არა აქვს ყვავილი აურილი. ხოლო რაც შეეხება  
მეორეთ აცრას, ამაზე ხომ სრულებით არავინ ფიქრობს; არამც  
თუ გლეხებში, თავად-აზნაურებშიაც ძნელათ თუ იპოვით ორ-  
ჯელ აურილ ბავშს.

საშინელებაა, მეტადრე მიყრუებულ, მივარდნილ სოფ-  
ლებში. გაუნათლებელი ხალხი ცრუ შორწმუნეობით არის შე-  
ჯაჭვული, ამისთანა სოფლებში როცა კი ყვავილი იჩენს ხოლ-  
მე თავს, ხოლერაზე უფრო ძლიერ ულეტს ხალხს. მერე რა  
არის ამის მიზეზი, თუ არ ხალხის შეუგნებლობა. ცრუ მორ-  
წმუნე კაცს ყვავილი რაღაც ანგელოზათ მიაჩნია და ყვავი-  
ლის აცრა დიდი ცოდვა ჰგონია. ნუ თუ ცოდვათ ჩამეთვლე-  
ბა, რომ ჩემი ბავშისთვის ვიზრუნო, თავის ღროზე ყვავილი  
ავუცრა და მით გადავარჩინო სიკედილს? ნათქვამია „ღმერობა  
რომ სატკივარი გააჩინა, წამალიც გაუჩინაო“. განა ყველა  
მშობლები მოვალენი არა ვართ ღვთისა და კაცის წინაშე,  
რომ ჩვენ შვილებს ყვავილი ავუცრათ და წინაოვე დავიცვათ  
ჩვენი შვილი დაბრმავებისაგან, დაყრუებისაგან და დამახინჯე-  
ბისაგან?!. იმას ხომ ვინდა მოთვლის, ყვავილისაგან რამდენი  
ბავშს მოკვდომია დედა და ობლათ დარჩენილან ყოვლად უნუ-  
გეშოთ; რამდენი ვაჟ-კაცი, ოჯახის ერთად ერთი მარჩენელი,  
დაბრმავებულა ყვავილისაგან, თითონაც ტვირთათ გახლომია  
ოჯახს და საზოგადოებას და მთელი მისი სახლობაც უპატრო-  
ნოთ დარჩენილა, ოჯახი, სახლ-კარი გაოხრებულა, რამდენ  
გასათხოვარ ქალს წახდენია ყვავილისაგან ლამაზი სახე და  
უბედურათ დარჩენილა.

მერე კი ცხარე ცრემლით ტირის და ჩივის ხალხი, იწ-  
ყველის თავის ბედს, მაგრამ ვისი ბრალია? ნათქვამია: „რა-  
საც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერიც ვერ უზამსო“. თუ  
კი კაცი თავის თავზე თითონ არ ზრუნავს, ამისთანა კაცს  
ვინ რა უნდა უშველოს.

მისამართი ცენტრალური მომავალი 1911 წლის 20 იანვარი.



# სახალხო გაზეთი

უკანასკნელი საბოლოო და სადაც გამოიცილება გაზეთი  
მომავალ 1911 წელს განხორციელებული გამოვარი, როგორც წარ-  
სულს წელს გამოიღოთ.

უფასა დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: შლით როგორც ქალაქში ისე  
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი შლით—4 მან.

80 კაბ., ერთი თვით—80 მან.

საჭარბე ნომერი უკანასკნელი ერთი შეური. დამატებიანი ნომერი (კვი-  
რის) 7 კაბეიკი

აღრესის გამოხაცვლელი ფასი 40 კაბ.

შელის მოწერა მიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კით-  
ხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის აღრესი: Тифлісъ, Редакція „Сахалх газети“.

## ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

## „Закавказье“

(Годъ VI-й).

### ПОДПИСНАЯ ЦЕНА:

Съ доставкой въ Тифлісъ:

На годъ . . . 6 р.—к.

На полгода . . 3 р. 50 к.

Съ пересылкой въ другіе города:

На годъ . . . 8 р.—к.

На полгода . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣнну адреса городского на иногородній—1 руб., съ ино-  
городняго на городской—50 коп.

Объявленія вѣдь предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торгового дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлісъ, на Дворцовой ул.,  
въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели.

Издатель Д. П. Мадчаваріані.

# ЗАКАВКАЗСКАЯ РЕЧЬ

Сафадиані გილო ნახატებიანი უკრნალი.

## ოცდა მეორე წელიცელი.

მიმღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, უკრნალში ორი განეოფილადა-  
ბაა, პარარებისათვის და მოზრდილთათვის.

ურნალი «ЗАКАВКАЗСКАЯ» თბილისში ედირება  
4 მან., ქალაქ გარეთ (გაგარინი) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაბ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს მეუძღვიანთ მიმართონ:  
თელ ბერი—კნ. ნ. ჩოლაძეაშვილს,

სიღნაღმი—კნ. ნ. ანდონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნაშვილს.

ბათუმში—მიხელ ჯალანდეგას.

ფოსტის აღმენი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго детскаго  
журнала „Джеджили“

რედ.—გამოცემელი ან. თუმანაშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

## „Закавказская Речь“

### Подлинная цена

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинції.
На годъ . . . . .	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
” полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
” 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
” 1 мѣсяцъ . . . . .	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реакція газ. „Закавказская Речь“, Эриван-  
ская площадь, домъ Харозовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Речь“.

Редакторъ Р. Д. Бебіевъ.

Издатели: { П. А. Готуა.

{ Кн. Г. И. Амираджиби.